საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვეჩი სიტყვაა, ტყეიღებით და ჭიტებით ბეჭთის გაცანა ყვეღა უკადრისობაზე უსამაგღესია.

ხუთშაბათი, 30 ნოემბერი. 2017 წ. №243 (8380), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ლევან ახვლედიანი: ანაკლიის პორტი 2020 წელს უკვე ამოქმედდება!

2

ეროვნული ბანკი მოსახლეობას აფრთხილებს!

„საქართველოს ეროვნული ბანკი მოუწოდებს მოსახლეობას, განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით მიუდგნენ ისეთ კომპანიებთან ურთიერთობას, რომლებიც მათ სთავაზობენ საკუთარი სახსრების დაბანდებას მაღალი რისკის შემცველ ფინანსურ ინსტრუმენტებში(!) აღნიშნული ეხება იმ კომპანიებსაც, რომლებიც მოსახლეობას სთავაზობენ ელექტრონულ სავალუტო ბაზრებზე (FOREX) საკუთარი სახსრების დაბანდებასა და უცხოური ვალუტით ვაჭრობას.

ასეთი კომპანიები, შეიძლება მოქალაქეთა შეცდომაში შეყვანის მიზნით, ორგანიზაციის დასახელებაში იყენებდნენ ტერმინებს „საფინანსო“, „საბროკერო“, „საინვესტიციო“ ა.შ. რაც ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ეს კომპანია არის საფინანსო სექტორის ლიცენზირებული წარმომადგენელი და ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებული. საქართველოს კანონმდებლობით, ე.წ. FOREX პლატფორმაზე მოვაჭრე შუამავლები, ამ ეტაპზე არ რეგულირდებიან ეროვნული ბანკის მიერ.

ნებისმიერი პირის უფლებაა, მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი სახსრების განკარგვის შესახებ. თუმცა სამომავლოდ, დაბანდებული თანხების დაკარგვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მოსახლეობას, რომ თანხების ინვესტირებისას მიიღონ მხოლოდ გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილება“, — ნათქვამია სებ-ის განცხადებაში.

ოთარ ხუციშვილი:



4

ქართული ბიზნესის „მსუქანი“ რეიტინგი და „ მჭლე“ ეკონომიკა

ზაზა სინაურიძე:

დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია!

7

„შენ საქართველოს გულს ეფერები“

6

რა აჩუქა პატრიარქმა შალვა პეტრიაშვილს?



მერაბიშვილმა ადვოკატების აცილება მოითხოვა

ვანო მერაბიშვილმა ადვოკატების აცილება მოითხოვა. განცხადება ამის შესახებ მერაბიშვილის ადვოკატებმა გუშინდელ პროცესზე გააკეთეს. გიორგი ჩივიაშვილისა და ბექა ბასილაიას განცხადებით, მერაბიშვილის ეს გადაწყვეტილება ადვოკატების აცილებასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას უკავშირდება.

„ვინაიდან სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა ვანო მერაბიშვილის მიმართ ევროკონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა და ის პოლიტიკური პატიმარია, ამიტომ შს ყოფილი მინისტრი საქართველოში მიმდინარე სასამართლო პროცესებს უნდობლობას უცხადებს“, — განაცხადა ჩივიაშვილმა. მომდევნო პროცესებიდან შს ყოფილ მინისტრს სახაზინო ადვოკატი დაიცავს.

პოროშენკომ სააკაშვილის დაკავების განკარგულება გასცა!

მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ მისი დაპატიმრების შესახებ ბრძანება გასცა.

„ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტმა პოროშენკომ საბოლოოდ გადაკვეთა წითელი ხაზი და გასცა განკარგულება ჩემი დაკავების შესახებ გამოგონილი სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით და გამოგონილ საქმეზე ოდესიდან. ეს განკარგულება მან გენერალურ პროკურორ ლუცენკოს მისცა. უახლოეს 2-3 დღეში იგეგმება ჩემი დაკავება და იზოლაცია,“ — განაცხადა სააკაშვილმა გუშინდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე...

სპეცოპერაცია ქართული მაფიის წინააღმდეგ ესპანეთში... დაკავებულია 23 პირი

კატალონიაში გუშინ ქართული მაფიის წინააღმდეგ სპეცოპერაცია დაიწყო. ესპანური გამოცემა Periodico-ს ინფორმაციით, პოლიციელებმა ბარსელონაში რამდენიმე სახლი გაჩხრიკეს. სპეცოპერაცია მადრიდშიც მიმდინარეობს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ დაკავებულია 26 პირი. გამოცემის ცნობით, ჯგუფი, რომლის წინააღმდეგაც ოპერაცია მიმდინარეობს, ფულის გათეთრებასთან არის კავშირში.

გელა ქოქიაშვილი

9

გიორგი შავგულიძის ელვარე ნიჭიერება

საქართველო ყველაზე კარგად არის მომზადებული ევროკავშირში გასაწევრიანებლად!

ეს განაცხადება სლოვენიის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ერიავეცმა საქართველოს ვიცე-პრემიერთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან მიხეილ ჯანელიძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრეს-კონფერენციზე გააკეთა.

კარლ ერიავეცმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს მიერ საერთო ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში გაღებული მნიშვნელოვანი წვლილი და კიდევ ერთხელ დაადასტურა სლოვენიის მხარდაჭერა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანისა და მისწრაფებების მიმართ. სლოვენიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა საქართველოს ევროკავშირთან სამართლებრივ, ინსტიტუციურ თუ დარგობრივ თავსებადობის მიღწევაში მაქსიმალური თანადგომა აღუთქვა.

კარლ ერიავეცმა მიხეილ ჯანელიძე, მომავალ წელს, საქართველოსა და სლოვენიის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთოებების დამყარების 25 წლისთავის აღსანიშნავად სლოვენიაში მიიწვია. მან გამოთქვა მზადყოფნა, რომ მიხეილ ჯანელიძის სლოვენიაში ვიზიტის დროს დაიგეგმოს ბიზნესფორუმი, რომელიც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და ინვესტიციების განხორციელებას შეუწყობს ხელს. **სლოვენიის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ქართველ ხალხს ბათუმში ხანძრის შედეგად დატრიალებული ტრაგედიის გამო მიუსამძიმრა.**

ვაზილ ჰუდაკი: ევროპის საინვესტიციო ბანკი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის 8 მილიარდი ევროს გამოყოფას გეგმავს

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმზე სიტყვით გამოვიდა ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. ვაზილ ჰუდაკმა საქართველოში გამართული ფორუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და საზოგადოებას დასრულებული და სამომავლო პროექტები გააცნო. ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად 8 მილიარდი ევროს გამოყოფა იგეგმება: **„2016 წელს, აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში რეკორდული რაოდენობის ინვესტიცია განვახორციელეთ (1.6 მილიარდი ევრო). ჩვენი მიზანია საქართველოში, სომხეთში, მოლდოვასა და უკრაინაში 8 მილიარდი ევროს კრედიტი გამოვყოთ“.**

ვაზილ ჰუდაკის განცხადებით, ევროკავშირი და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები სხვადასხვა სფეროში მჭიდროდ თანამშრომლობენ. მათ შორისაა სატრანსპორტო უსაფრთხოება და ეკონომიკური კავშირები.

„სიმბოლურია, რომ ფორუმი საქართველოში იმართება. საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ქვეყანაა, ეს არის მზარდი სახელმწიფო, რომელიც მოდერნიზაციას და ტრანსფორმაციას განიცდის. ჩვენ გრძელვადიანი ინვესტორები ვართ და ინვესტიციას მხოლოდ სტაბილურ, მომავლის მქონე ქვეყნებში ვახორციელებთ“, — აღნიშნა ვაზილ ჰუდაკმა.

ვაზილ ჰუდაკმა გამოსვლაში ევროპის საინვესტიციო ბანკის საქართველოში ათწლიანი საქმიანობა შეაჯამა. ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოში 21 პროექტი 1,6 მილიარდით დაფინანსდა: **„ჩვენ ხელს ვუწყობთ, რომ საქართველომ გააფართოოს ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირელი დერეფანი და გახდეს ეკონომიკური და ბიზნეს ჰაბი. მჭიდროდ ვმუშაობთ აზიის ინვესტიციების ბანკთან. საქართველოში 114 მილიონის ღირებულების ბათუმის შემოვლითი გზის პროექტია დამტკიცებული. სატრანსპორტო პროექტების განვითარების მიზნით ევროპის საინვესტიციო ბანკს 3 დიდი პროექტი აქვს, რომლის ღირებულება 750 მლნ. ევროა. ეს პროექტები ხელს უწყობს საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილის გაუმჯობესებას“,** — განაცხადა ვაზილ ჰუდაკმა.

„აბრეშუმის გზის ფორუმზე“ ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა საქართველოს ევროპულ არჩევანზეც ისაუბრა: **„საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად რამდენიმე დღის წინ ბრიუსელში აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტს დავესწარით. ეს სამიტი იყო ამ რეგიონის, განსაკუთრებით კი საქართველოს ევროპული ხედვის კიდევ ერთი დადასტურება. ეკონომიკური და სოციალური განვითარება და ტრანსფორმაციის ხელშეწყობა ჩვენი ერთობლივი საქმიანობის მთავარი ამოსავალი წერტილია, რომელსაც შეუძლია აღმოსავლეთ სამეზობლოს კეთილდღეობა, სტაბილურობა უზრუნველყოს“.**

ლევან ახვლედიანი: ანაკლიის პორტი 2020 წელს უკვე ამოქმედდება!

ანაკლიის განვითარების კონსორციუმის დირექტორის ლევან ახვლედიანის განცხადებით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პირველი ფაზის დაწყების თარიღი კვლავ 2017 წლის 20 დეკემბერია. პორტი 2020 წელს უკვე მოქმედი იქნება და მშენებლობის დასრულება სამ წელზე ადრე ვერ მოხერხდება.

ამასთან, „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ „აბრეშუმის გზის ფორუმზე“ განაცხადა, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი პირველი ტვირთის მიღებას ორ წელიწადშიც შეძლებს, ანუ იქამდე, სანამ მშენებლობა ბოლომდე დასრულდება.

„2020 წელს მოქმედი პორტი გვექნება. თუმცა ჩვენ ვცდილობთ, ტექნიკურ გუნდთან ერთად, რომ ორი წლის შემდეგ, პორტის მშენებლობის ბოლომდე დასრულებამდე, პირველი ტვირთები მივიღოთ. მსგავსი პრეცედენტები მსოფლიოში ყოფილა, მათ შორის, მექსიკაში, კოლუმბიაში, სადაც პორტს მშენებლობის პირველი ფაზის დაწყებიდან ორ წელიწადში პირველი გემები მიუღია. ტექნიკურ ჯგუფთან ერთად სწორედ ასეთი გრაფიკის შემუშავებას ვცდილობთ, რომ ეს შევძლოთ“, — აღნიშნავს ახვლედიანი.

მისივე თქმით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში უკვე რამდენიმე მნიშვნელოვან მემორანდუმს მოეწერა ხელი და პროცესი კვლავ გაგრძელდება.

„ჩვენ პირველი ფორმალური ნაბიჯები რეგიონალურ მოთამაშეებთან უკვე გადავდგით, მემორანდუმებს ხელი მოეწერა, ბაქოს და კურიკის პორტებთან. ასევე ვგეგმავთ მემორანდუმის გაფორმებას „კონსტანცას“ პორტთან. ტვირთნაკადების და სატარიფო მიმართულებით ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას ვცდილობთ. ერთიანი ხედვის გარეშე კონკურენტუნარიანი კორიდორი (დერეფანი) ვერ ვიქნებით“, — განაცხადა ლევან ახვლედიანმა.

შეგახსენებთ, რომ თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის ფარგლებში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ტრანსკასპიური დერეფნის პორტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

თეონა კენჭიაშვილი

მეუფე იაკობი: ამერიკა სტრატეგიული პარტნიორია, რუსეთი კი თავისუფლების გამო ღიად გვეომება

ვაშინგტონში, დემოკრატიის ეროვნულ ფონდში დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ, კომენტარი გააკეთა მეუფე იაკობმა.

„ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანით. ძალიან ბევრ რამეს სხვა თვალით შევხედეთ. ყველაზე დიდი მნიშვნელობა ამ ვიზიტს იმიტომ ჰქონდა, რომ ნახოს ამერიკამ, ეკლესიაც არ ვაპირებთ ჩვენს მოწინააღმდეგეებთან რაღაც დათმობაზე წასვლას. თავისუფლების გაყიდვა არაფრად არ გვიღირს.

ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და მას ჩვენთვის არ უღალატია. ჩვენი თავისუფლების გამო რამდენი წელია, რუსეთი ღიად გვეომება, ამიტომ ამერიკის მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა მეუფე იაკობმა.

ამერიკამ მიზეზი უნდა ეძებოს საკუთარ თავში, რატომ „აგებენ“ რუსეთთან!

სინოდის წევრები ვაშინგტონში გამართული შეხვედრების შემდეგ ღიად საუბრობენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიმართულებით ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობაზე.

სინოდის წევრები ადასტურებენ, რომ მხარს უჭერენ ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და მიიჩნევენ, რომ ტექნოლოგიურად განვითარებული დასავლური ქვეყნების პირობებში, რუსული პროპაგანდა არ უნდა მძლავრობდეს.

„ასე ვთქვი, რომ ალბათ მიზეზი უნდა ეძებონ თავის თავში, რომ რაღაც გამორჩათ, რაღაცას ვერ ითვალისწინებენ. იმიტომ, რომ წარმოუდგენელია ასეთ ტექნოლოგიური, განვითარებული და წინ წასული ამერიკა და ევროპა როგორ შეიძლება აგებდეს რუსეთთან, რომელიც ახლა იწყებს გამოსვლას. იმიტომ, რომ 90-იან წლებში ცხადია, მას ამის თავი არ ჰქონდა, არც შესაძლებლობა არ გააჩნდა და ბოლო 10-15 წელია, რაც რუსეთი გამოვიდა მსოფლიო არენაზე. მიზეზი უნდა იპოვონ თავის თავში. უკეთესი პიარი, უკეთესი ინფორმირება, ინტერპრეტირება მოვლენების და ფართო გაშუქება,“ — განაცხადა რუსთაველმა მიტროპოლიტმა მეუფე იოანემ.

ამერიკული „ჯაველინი“ და გაღიზიანებული მოსკოვი

საქართველოს ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ბათუ ქუთელია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ განცხადებას ეხმაურება, სადაც ქვეყნის დიპლომატიური უწყება საქართველოსთვის „ჯაველინის“ სისტემის შეიარაღების გადაცემას, სახიფათო ავანტიურას უწოდებს.

„პირველ რადიოსთან“ საუბრისას ქუთელია რუსეთის გაღიზიანების მიზეზებს განმარტავს და ამბობს, რომ მთავარ პრობლემას კრემლისთვის საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს.

მისივე თქმით, „ჯაველინის“ სისტემის ქონა რუსეთის მხრიდან სამხედრო ან სხვა ტიპის პროვოკაციის მოწყობის საფრთხეს ამცირებს.

„რუსეთის გაღიზიანებას იწვევს ნებისმიერი ნაბიჯი, რაც საქართველოს დააახლოებს თავის სტრატეგიულ პარტნიორთან ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რაც უზრუნველყოფს საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში, რაც უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, იმიტომ, რომ ეს ამცირებს შანსებს რუსეთმა რაიმე სამხედრო ან სხვა ტიპის პროვოკაცია მოაწყოს. ანუ ძლიერი შემაკავებელი ფაქტორი არის. ჯაველინები რეალურად კონცეპტუალურად სხვა თავდაცვისუნარიანობის შესაძლებლობას აძლევს საქართველოს, რაც მინიმუმამდე ამცირებს რუსეთის მხრიდან ჯავშანსატანკო იერიშის განხორციელების ალბათობას ან რაიმე ეფექტურობას და ბუნებრივია, ეს იწვევს რუსეთის გაღიზიანებას.

თბილისელებს საცხოვრებელ ფართებს უკანონებენ

ფონიჭალაში **მცხოვრებ 33 ოჯახს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართები დაუკანონდება,** – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

„ძალიან ბევრ იოჯახი ცხოვრობს საცხოვრებელ ფართებში, სადაც შვილები და შვილიშვილები გაზარდეს, თუმცა მათ დაკანონებას ვერ ახერხებენ. შესაბამისად, გამოგვაქვს ფონიჭალის მესამე მიკრორაიონის 28-ე კორპუსისა და მეოთხე მიკრორაიონის მე-11 კორპუსში მცხოვრები 33 ოჯახისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონების გადაწყვეტილება. მათ ეს ფართები სიმბოლურ ფასად გადაეცემათ და დაუკანონდებათ. ჩვენ ამ მიმართულებით მუშაობას მომავალშიც განვაგრძობთ და ვისაც ეს საკითხი აწუხებს, ჩვენი მხრიდან მაქსიმალური თანადგომა ექნება“, – განაცხადა კახა კალაძემ. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, საცხოვრებელი ფართები ცაიშის ქუჩის №36-ში მცხოვრებ 23 ოჯახსაც დაუკანონდა.

თბილისში საყოფაცხოვრებო ნარჩენებს მხოლოდ ღამის საათებში გაიტანენ

თბილისის მერმა საკუთარ მოადგილეს, მაია ბითაძეს „თბილსერვისჯგუფის“ ხელმძღვანელობასთან ერთად ორი კვირის ვადაში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის გეგმის შემუშავება დაავალა. როგორც კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ნარჩენები ღამის საათებში უნდა გაიტანონ, რომ ქალაქში მოძრაობას ხელი არ შეეშალოს.

„მინდა, მაია ბითაძეს დავავალო თბილსერვისის ხელმძღვანელ ლევან ჯღარკავასთან ერთად, ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ გეგმა ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით, რათა ეს მოხდეს ისეთ საათებში, რომ მოძრაობას ხელი არ შევუშალოთ. ალბათ უფრო ღამის საათებში. ვიცი, რომ ნარჩენების გატანა ხდება დილის, დღის საათებში, რაც გარკვეულ დისკომფორტს ქმნის და შესაბამისად, მოქალაქეების ინფორმირება ან დახმარება თუ დაგვჭირდება, მზაობა არის, რადგან ბევრი წერილი შემოდის ამასთან დაკავშირებით და თანადგომა იქნება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

დაიწყება უკანონო მშენებლობების დემონტაჟი

დედაქალაქის მერის განცხადებით, თბილისში უკანონო მშენებლობები მოხშირდა, რაც ქალაქის იერსახეს ამახინჯებს. თბილისის მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ ზედამხედველობის სამსახურს განსაკუთრებული ყურადღებისკენ და საჭიროების შემთხვევაში დემონტაჟის გადაწყვეტილების მიღებისკენაც მოუწოდა: **„მინდა ზედამხევდელობის სამსახურს და მის ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი ბაგრატიონს დავავალო, რომ მაქსიმალური ყურადღება თქვენი მხრიდან და შესაბამისი, ძალიან მკაცრი ზომების მიღება, მათ შორის დროული დემონტაჟის მიმართვა. ძალიან მოხშირდა ქალაქში ასეთი შენობა- ნაგებობები და ეს ყველაფერი ამახინჯების დედაქალაქის იერსახეს“,** – განაცხადა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე.

ზონალური საბჭო და 19 კომისია გაუქმდება!

მერიაში **ე.წ. ზონალური საბჭო უქმდება** – განცხადება ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

„საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე წლების განმავლობაში მიიღებოდა გადაწყვეტილებები კონკრეტული განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცებისა და კოეფიციენტების მატებასთან დაკავშირებით. ჩვენ დაწყებული გვაქვს სტრუქტურული რეფორმა, რომელიც რასაკვირველია შეეხება ურბანული პოლიტიკის მიმართულებასა და არქიტექტურის სამსახურის ფუნქციურ გარდაქმნას და ამ პროცესის დასრულებამდე ზონალური საბჭოს ფუნქციებს მერიის შესაბამისი სამსახურები, ჩემი პირადი კონტროლის ქვეშ განახორციელებენ“ – განაცხადა კალაძემ. მისივე თქმით, ბიუროკრატიის შემცირების და მეტი ეფექტურობის მიზნით უქმდება თბილისის მთავრობის მიერ შექმნილ 19 კომისია და ამ მიზნით ცვლილებები შევა შესაბამის სამართლებრივ აქტებში. მერის განცხადებით, გადაწყვეტილებებს კონკრეტულ საკითხებზე მერიის შესაბამისი სამსახურები გაცილებით მოკლე დროში და უფრო ეფექტურად მიიღებენ.

დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა შენობა-ნაგებობების უსაფრთხოებაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს და განსაკუთრებით სახანძრო უსაფრთხოებას დიდი ყურადღება მიექცევა და სამშენებლო წესების დარღვევას უმკაცრესი რეაგირება მოჰყვება.

უგუნურობა თუ მიზანმიმართული დანაშაული?

თბილისის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე დედაქალაქის მერმა სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ამსახველი ფოტომასალა წარმოადგინა და განაცხადა, რომ მსგავსი ფაქტები სოციალურ ქსელში ქილიკის საგანი ხდება. საქმე ეხება ხეების მოასფალტებას. დედაქალაქის მერმა ვარაუდი გამოთქვა, რომ ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება. კალაძემ კეთილმოწყობის და ტრანსპორტის სამსახურებს მიმართა:

„ეს რაღაცა სიახლეა...ასეთ კომპანიებთან ჩვენ მომავალში ვერ ვიმუშავებთ. მინდა მაქსიმლურად გავაფრთხილოთ ყველა, ეს ადამიანები რომ ასეთ ფაქტებს ადგილი არ ჰქონდეს. მე მაინც მგონია, რომ ეს არის მიზანმიმართულად გაკეთებული. გავითავლისწინოთ ეს ყველაფერი, რომ არ განმეორედს, იმიტომ რომ შემდეგ ეს ყველაფერი ხდება ქილიკის საგანი სოციალურ ქსელში“, – განაცხადა კალაძემ.

ეს არის საზოგადოებისა და ძეგლების შეურაცხყოფა და სანქციებს აუცილებლად გავატარებთ!

თბილისის ვიცე-მერის ირაკლი ხმალაძის განცხადებით, დედაქალაქში დაწყებულ ე.წ. პირბადეების აქციას მერიისგან ნებართვა არა აქვს და ეს ძეგლების შეურაცხყოფაა.

„ეს აქცია არ არის არც ნებადართული მერიისგან, მით უმეტეს, არც ორგანიზებული. ჩვენ ამას არ მივესალმებით. ამ ადამიანებს, რომლებსაც გარკვეული პროტესტის გამოხატვა უნდოდათ, უფრო კულტურული გზითაც შეიძლებოდა ამ პროტესტის გამოხატვა და არა ძეგლების შეურაცხყოფის გზით. ამდენად, ამას ჩვენი მხრიდან მოყვება შესაბამისი რეაგირება, ვინაიდან, ეს ჩვენთვის და საზოგადოებისთვის ყოვლად მიუღებელია. რა ზომებიც იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული, ეს იქნება დაჯარიმება თუ სხვა რაიმე სანქციები აუცილებლად გავატარებთ. რადგან ჩვენ მივიჩნევთ, ეს არის საზოგადოების შეურაცხყოფა, ვინაიდან პატივსაცემი ძეგლები არის აღჭურვილი პირბადეებით“, – განაცხადა ირაკლი ხმალაძემ და დასძინა, რომ მერიას ჯერჯერობით არა აქვს ინფორმაცია, ვინ ატარებს ამ აქციას და ვინ აღჭურვა ძეგლები პირბადეებით.

ბაზრობის მფლობელები დაბეგვრის ახლებურ წესს ეწინააღმდეგებიან

ბაზრობაზე საგადასახადო წესრიგის დასამყარებლად მთავრობა რამდენიმე წლის წინანდელ განუხორციელებლ იდეას უბრუნდება. თუკი ფინანსთა სამინისტროს ინიციატივამ კანონის სახე მიიღო, როგორც მოვაჭრეებისთვის, ასევე ბაზრობების ადმინისტრაციისთვის ბევრი რამ შეიცვლება.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ბაზრობის ორგანიზატორმა სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მისაღებად უნდა დააკმაყოფილოს სავალდებულო მოთხოვნები, რომლის შესრულებაც დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. საგადასახადო კოდექსში მომზადებული ცვლილებებით, სპეციალური სავაჭრო ზონის მოწყობა ნებაყოფლობით ხდება. პირი, რომელსაც სტატუსი მიენიჭება, კუთვნილი საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად (დასაბეგრი შემოსავლის 20%), გადაიხდის ბრუნვის გადასახადს რეალიზებული საქონლის 3%-ის ოდენობით.

გარდა ამისა, მოვაჭრეები, გათავისუფლდებიან ბუღალტერიის წარმოების ვალდებულებისაგან და არ ექნება გამოსაქვითი ხარჯების დადასტურების პრობლემა. ბაზრობაზე მოვაჭრე ფიზიკური პირი უფლებამოსილი იქნება, უარი თქვას ბრუნვის 3-პროცენტიანი გადასახადით დაბეგვრის რეჟიმის გამოყენებაზე და ისარგებლოს საშემოსავლო გადასახადის ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით (დასაბეგრი შემოსავლის 20%).

2020 წლის 1 იანვრამდე გადავადდება ბაზრობაზე არასტაციონარული სავაჭრო ადგილის გამოყენებით ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირებისათვის საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებაც.

ვაჭრობის ორგანიზატორი კი ვალდებული ხდება 2020 წლამდე ეტაპობრივად უზრუნველყოს არასტაციონალური სავაჭრო ობიექტების საკონტროლო-სალარო აპარატებით აღჭურვა. სალარო აპარატის უქონლობისთვის კი მოვაჭრის ნაცვლად ბაზრობის ორგანიზატორი დაჯარიმდება.

მთავრობის ახალმა ინიციატივამ ბაზრობის მფლობელებს შორის უკმაყოფილება გააჩინა. მთავარი პრობლემა, რასაც ცვლილებების პროექტში სავაჭრო ორგანიზატორების ნაწილი ხედავს, არის ის, რომ ადმინისტრაციას საგადასახადო აგენტის ფუნქციის შეთავსება ევალება.

„ფაქტობრივად უნდა გარდავიქმნათ საგადასახადო აგენტებად. გამოდის, რომ პასუხს მაგებინებ მესამე პირის საქმიანობაზე. მაშინ კანონმა რაღაც ბერკეტები უნდა მომცეს, რომ ამ მესამე პირზე მოქმედება მოვახდინო. ხომ შეიძლება დაჯგუფდეს 30-40 მეწარმე და შეგნებულად დაარღვიოს და დააზარალოს ვაჭრობის ორგანიზატორი? არც ერთი ბერკეტი არ არის კანონში იმისა, თუ როგორ უნდა შევაჩეროთ ასეთი ქმედება. ძალიან აბსურდული და გაუგებარი კანონია, რომელიც წინა მთავრობის დროს დაიწყო“, – აცხადებს „ლილო მოლის“ მმართველი მენეჯერი **ლევან გაგუა**.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე **ლაშა ხუციშვილი** განმარტავს, რომ როდესაც ვაჭრობის ორგანიზატორები გააფორმებენ ხელშეკრულებას პირთან, რომელსაც მიაქირავებენ ფართს, ის პირი რეგისტრირებული უნდა იყოს გადასახადის გადამხდელად და მის სახელზე რეგისტრირებული უნდა იყოს საკონტროლო სალარო აპარატი. ამ შემთხვევაში, სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა ორგანიზატორებს არ დაეკისრებათ.

„ახალი დაბეგვრის პრინციპი არჩევითი ხასიათის იქნება მოვაჭრეებისთვის. მათ შეუძლიათ 2020 წლიდან გააგრძლონ იგივე რეჟიმში მუშაობა ან აირჩიონ დაბეგვრის ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც გულისხმობს უფრო ნაკლებ საგადასახადო ტვირთს და ასევე 3%-იან ბრუნვის გადასახადს“, – განუცხადა „ანალიტიკას“ ხუციშვილმა.

რაც შეეხება ვაჭრობის ორგანიზატორების მიერ სავაჭრო ადგილების სალარო აპარატებით აღჭურვის ვალდებულებას, სავაჭრო ცენტრ „პასაჟის“ ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ სავაჭრო ცენტრების ნაწილისთვის ამ ვალდებულების შესრულება რთული იქნება.

„ეს გარკვეულწილად სერიოზულ ფინანსებს მოიცავს, რადგან სალარო აპარატი 300-დან 450 ლარამდე ღირს. ძალიან დიდ და მსხვილ სავაჭრო ცენტრებს შეიძლება არ გაუჭირდეთ, მაგრამ არის სავაჭრო ცენტრები, რომლებიც მარტო არასტაციონალურზე მუშაობენ და არც თუ დიდი შემოსავლები აქვთ. მათთვის ინვესტიციის გაწევა ძალიან ძნელი იქნება“, – აცხადებს **ნიკოლოზ სალღარაძე**.

ბაზრობის მფლობელთა პოზიციას, გარკვეულწილად, ეთანხმება იურისტი **ლევან ალაფიშვილი**: **„ხელისუფლება ცდილობს, თავისი საქმე და პასუხისმგებლობა დააკისროს ბაზარს. ჯერ ამაზე მეტს ვერაფერს ვიტყვით, რადგან შესაძლებელია ეს წამოწყება სულ სხვა რამეს უკავშირდებოდეს და ამაზე მეტი შემოგვთავაზოს მთავრობამ, მაგრამ მეეჭვეება მესამე პირზე პასუხისმგებლობის დაკისრებით შეიძლებოდეს იმ პრობლემის გადაწყვეტა, რაც ბაზრობებზეა“,** – განაცხადა ლევან ალაფიშვილმა.

ბექა დანელია

ქართული ბიზნესის „მსუქანი“ რეიტინგი და „მჭლე“ ეკონომიკა

ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, დღეს ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ყველა მიმართულებით, მათ შორის ეკონომიკური მიმართულებითაც, ცდილობს, არაფერი გააფუჭოს, მაგრამ... მნიშვნელოვანი არც არაფერი გააკეთოს.

არ მინდა, მკითხველმა ისე გაიგოს, თითქოს მე პირველი ვარ, ვინც ქართული ბიზნესის მთელ მსოფლიოში გახმაურებულ რეიტინგზე საუბრობს. არა, ბატონებო, სულ ახლახან მასმედიით საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო ბანკის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, საქართველოს რეიტინგი 7 ადგილით გაუმჯობესდა და ამ მაჩვენებლით ჩვენი ქვეყანა ევროპისა და ცენტრალური აზიის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-16 ადგილიდან მე-9 ადგილზე გადასვლით, საქართველო იმ ქვეყანათა ათეულშია, სადაც ბიზნესის კეთება და, შესაბამისად, საინვესტიციო გარემო, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ შეფასდა.

როგორც ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, **„მსოფლიო ბანკის რეიტინგში საქართველოს წარმატება მთავრობის ეფექტურმა და კოორდინირებულმა მუშაობამ განაპირობა. საქართველოს ხელისუფლებამ უკვე განახორციელა და კვლავ აგრძელებს რეფორმებს, რომლებიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს საქართველოს პოზიციას მსოფლიო ბანკის მომდევნო წლის რეიტინგში. წინა წელთან შედარებით, საქართველომ გადაასწრო ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა შვედეთი, მაკედონია, ესტონეთი, ფინეთი, ავსტრალია, ტაივანი (ჩინეთი), ლატვია“**. ქვეყნის პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, **„არის ყველა პირობა, რომ გაისად კიდევ უფრო მეტი ეკონომიკური ზრდა გვქონდეს“**.

ხედავთ, რა ხდება? გასკდით ახლა გულზე სატანა და ენაჭარტალა ნაცბანდელებო! აბა, რა გეგონათ, მსოფლიო ბანკი, რომელიც თავის დროზე თქვენი რეფორმატორული მიღწევების მაპიარებელი იყო, სამარეში ჩამოგყვებოდათ?! ახლა რას იზამთ, უკანვე ალოკავთ თქვენეულ ტყუილებს, რომ ქოცების მმართველობის პერიოდში საქართველო ერთ ადგილზე გაიყინა, ეკონომიკა დამყაყდა, ინვესტორები გაიქცნენ, ხალხი კი, რომელსაც გამდიდრებას ჰპირდებოდნენ, ფაქტობრივად, დაიმშაო?! თურმე რეალობა ისეთი კი არაა, როგორსაც ქოსატყუილა ნაცები გვიხატავდნენ, უფრო სწორად, ლაყბობდნენ, არამედ სრულიად საპირისპირო ყოფილა. ნაცების მიერ შერქმეული „უნიათო“ და „უსაქმური“ მეოცნებენი თურმე საქვეყნო საქმეს აკეთებდნენ, რაც ოპოზიციაში ჩასაფრებული მიშარასტებისგან განსხვავებით, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მსოფლიო ბანკის მაღალპროფესიონალ სპეციალისტებს.

ასეა, საქართველომ, რომელსაც ადრე მსოფლიოში კანტიკუნტად თუ ვინმე იცნობდა, ახლა „მსუქანი“ რეიტინგის ისეთი „ტალავერი“ გააშენა, მთელი დუნია სანამყენე ჯიშებს აქედან ეზიდება. ეს ეკონომიკური და საგანმანათლებლო რეფორმებიო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს ბიზნესის საკეთებლად უიოლესი პირობებიო, ეს „აწარმოე საქართველოშიო“ და კიდევ რა აღარ, რამაც საქართველოს რეიტინგული ქვეყნის სწორუპოვარი იმიჯი შეუქმნა.

თუმცა ერთია, ხელისუფლება რა შესაძლებლობებს სთავაზობს ბიზნესმენებს, უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს და, მეორე, რეალურად ქვეყანაში რა პირობებია შექმნილი ბიზნესის საკეთებლად. როგორც წესი, უცხოური ეკონომიკური ინსტიტუტები თუ ექსპერტები, ამა თუ იმ ქვეყნის რეიტინგს საზღვრავენ იმ კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ქვეყანას აქვს მიღებული. ამ მხრივ, იცოცხლეთ, მსოფლიოში ბევრი ვერავინ შეგვეტოქება. გადახედეთ ჩვენს კანონმდებლობას და უმალვე დარწმუნდებით, რა იოლია საქართველოში ბიზნესის კეთება (გინდა, ჩიტ-ჩიორას ბუდე ჩაუდგამს და გინდ, მეწარმეს აუშენებია ქარხანა!). ქვეყანაში, სადაც ადრე მოქმედებდა ათასამდე ლიცენზია, იმათგან სულ თითებზე ჩამოსათვლელიღა დარჩა. ბიზნესს ჩამოსცილდა ძველად არსებული ნებართვების მთელი ნუსხა და ბიუროკრატიული ბარიერები. მეწარმეს შეუძლია ერთ დღეში, სულაც რამდენიმე საათში დაარეგისტრიროს საკუთარი ფირმა (საწარმო), მაგრამ ვაი შემდეგ მუშაობის დაწყებას და საქმიანობის სარფიანად წარმართვას. ეს საკუთარ თავზე გამოსცადეს როგორც ადგილობრივმა მეწარმეებმა, ისე უცხოელმა ინვესტორებმა, რომელთა უდიდესი ნაწილი ამჯობინებს საქართველოში უძრავი ქონების შეძენას, მასში თანხის დაბანდებას და არა წარმოების განვითარებას.

მთელ მსოფლიოში ცნობილია, ეკონომიკას ქმნის მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც ამრავლებს საწარმოებს და ასაქმებს ადამიანებს, ჩვენთან კი რატომღაც არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის ხელისუფლებას საშუალო ფენა არ ეპიტნავებოდათ. მათ „ტრადიციას“ არც ამჟამინდელი ხელისუფლება ღალატობს. ამჟამად საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ წერტილზეა გაყინული, რასაც ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს:

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2013 წელს მცირე ბიზნესში დასაქმებული იყო 138 ათასი კაცი, 2014 წელს – 168 ათასი, 2016 წელს კი მათი რაოდენობა 148 ათასამდე შემცირდა. ბოლო წლებში დასაქმებულთა რაოდენობამ იკლო საშუალო ბიზნესშიც. ამ სექტორში თუ 2015 წელს 100 ათასი კაცი იყო დაკავებული, შარშან მათმა რაოდენობამ მხოლოდ 96 ათასი შეადგინა. საერთო ჯამში მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა ქვეყანაში 25 ათასით შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ეკონომიკა ვერ განვითარდება და ქვეყანა ჭაობიდან ვერასდროს ამოვა.

ყოველწლიურად ქვეყანაში ათეულმილიონობით ლარის გრანტი შემოდის და არავინ უწყის, ეს თანხა ვის ან რას ხმარდება. გამოდის, რომ ამხელა ფული მხოლოდ ტრეინინგებში იხარჯება, რადგან წინსვლა ამ სფეროში არაფერს ეტყობა. მავანი შემომედავება და შემახსენებს პრემიერ კვირიკაშვილის ინიციატივას „აწარმოე საქართველოში“, ან სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ სხვა პროგრამას, რომლებმაც რაღაც იმედი გააჩინეს, მაგრამ ჯერჯერობით კვალი ვერაფერს დაამჩნიეს.

მოდით, ვიყოთ რეალურნი და ჯანსაღი თვალით შევხედოთ ჩვენს გაჭირვებულ ეკონომიკას, იოლად საკეთებელ ბიზნესს, რომელმაც უცხოეთში „მსუქანი რეიტინგის“ იმიჯი დაიმკვიდრა. ეს ყველაფერი ხომ არ გაგონებთ ანდაზას თეთრ თხაზე, რომელიც მსუქანი ეგონათ, მაგრამ დაკლეს და მჭლე გამოდგა! ასეთივეა ჩვენი ეკონომიკაც, რომელიც გარეგნულად „მსუქნად“ გამოიყურება, ფაქტობრივად კი, „მჭლე“ და გახრიოკებულია. სხვანაირი ვერც იქნება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ **ჩვენ არ ვართ მწარმოებელი ქვეყანა, ვაწარმოებთ ძალიან ცოტას და მოვიხმართ ძალიან ბევრს, უცხოეთიდან შემოგვაქვს გაცილებით მეტი პროდუქცია, ვიდრე გაგვაქვს. ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, დღეს ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ყველა მიმართულებით, მათ შორის, ეკონომიკური მიმართულებითაც, ცდილობს არაფერი გააფუჭოს, მაგრამ არც არაფერი გააკეთოს.** ერთი მხრივ, ტარდება ჰუმანური ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამას შევყავართ ჭაობში. არანაირი სისტემური რეფორმები არ ტარდება, ეკონომიკის რეალური სექტორის ტირაჟირება ძალიან სუსტია და ფრაგმენტული. ამიტომ ჩვენ მარტივად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკა არა გვაქვს, აი, ეს არის სამწუხარო რეალობა.

ამ რეალობის ანარეკლია ეროვნული ვალუტის სავალალო მდგომარეობა, რომელიც ნიავის ყოველ შემოქროლვაზე ლერწამივით ქანაობს. ლარის პერმანენტულ დევალვაციას ზოგი ხელისუფლების უნდილ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას აბრალებს, ზოგი – ეროვნული ბანკის უგერგილობას, ზოგიც – კომერციული ბანკების მანიპულაციებს. რა თქმა უნდა, ლარის წარამარა გაუფასურებაში ყველა ამათგანს წილი მიუძღვის. **დღესაც ვალუტის კურსი ისევ ყალიბდება ბლუმბერგის ბირჟაზე ვაჭრობით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული ბანკი, ნაცვლად იმისა, რომ მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობასა და დასაქმებაზე იყოს ორიენტირებული, რამდენიმე კომერციული ბანკის ზედამხედველად და ხელშემწყობად გვევლინება. ამიტომაც, ლარის კურსი არის ისეთი, როგორიც ბანკებს უნდათ. და მაინც, ლარის არამდგრადობის ფუნდამენტური მიზეზი გახლავთ ის, რომ ეკონომიკა არა გვაქვს!**

ასეთ დროს, როცა ქვეყნის ეკონომიკა გაჩერებულია (წლიურად 4-პროცენტიანი ზრდა ბევრი არაფრის მთქმელია), ხომ არ აჯობებდა ამ ჩვენს **მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს (აშშ)**, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამო გამოცხადებული ამდენი შეშფოთების პარალელურად, საქართველოს ხელისუფლებისთვის მაგრად აეწია ყური, ცოტა მეტი ინვესტიციები გამოეყო, აეშენებინა საწარმოები, დაესაქმებინა ხალხი და მჭლე ეკონომიკა ამერიკულად მოესუქებინა!

როგორც ჩანს, ამის აუცილებლობას მიხვდა ამერიკელი ანალიტიკოსი მაიკლ მალური, რომელმაც მოუწოდა ამერიკის ადმინისტრაციას, ითანამშრომლოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ეკონომიკის სფეროში.

თქვენს პირს შაქარი, ბატონო მაიკლ! თუ ამერიკა საქართველოს პირველ რიგში ეკონომიკურ დახმარებას აღმოუჩენს, ამას რა ჯობს. ეს სურვილი შესაძლოა, დონალდ ტრამპის სამოღვაწეო პროგრამასაც უკავშირდებოდეს, რომელმაც ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ქვეყანაში საშუალო ბიზნესის განვითარება და ხალხის დასაქმება განიზრახა. ეს გეზი, ალბათ, ზუსტად მოერგება საქართველოს ხელისუფლებასაც, რომელმაც დროა, მოუკლოს „მსუქან რეიტინგებზე“ ლაპარაკს და მოუმატოს „მჭლე“ ეკონომიკის წამოსაწევ რეალურ საქმეთა კეთებას.

ოთარ ხუციშვილი

კორპუსების მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაცია გრძელდება

ზღვის უბანში (თემქა) საცხოვრებელი კორპუსების მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაცია გრძელდება. კანალიზაციის შიდა ქსელი გამოიცვალა მე-3 მ.რ, მე-2 კვ. 33-ე კორპუსში, სადაც 110 მ სიგრძეზე მოეწყო ახალი მილები და 14 სათვალთვალო ჭა დამონტაჟდა. მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაციის შემდეგ კორპუსის წინ ასფალტის საფარის დაგება დაიწყო. საგზაო სამუშაოებს ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე ადგილზე გაეცნო.

„ამ კონკრეტული პროექტით 126 ოჯახს მოუგვარდა პრობლემები, რომლებიც წლების განმავლობაში აწუხდებათ. ექვსსადარბაზოიან კორპუსში მთლიანად გამოიცვალა სისტემა. მოძველებული შიდა ქსელის გამო კორპუსის მიმდებარედ იყო ანტისანიტარია, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ძალიან აწუხებდა. ამ მხრივ უკვე მოსახლეობას აღარ შეექმნება დისკომფორტი,“ – განაცხადა ნაძალადევის რაიონის გამგებელმა.

ინფრასტრუქტურული პროექტი ნაძალადევის რაიონის გამგეობის თანადაფინანსებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, რისთვისაც გამგეობის ბიუჯეტიდან 55 233 ლარი გამოიყოფა.



ცა – ხელისგულზე...

ჭეშმარიტი პატრიოტისა და მეცნიერის არდავიწყება

ევგენი ხარაძე – 110

110 წელი შესრულდა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში ასტრონომიული მეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადებიდან. ბატონი ევგენი მიეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ე. ხარაძე დაიბადა 1907 წლის 31 ოქტომბერს თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის მოსამსახურის ოჯახში. თბილისშივე მიიღო მან საშუალო განათლება. 1925 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1931 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ლენინგრადის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ბ. ნუმეროვის რეკომენდაციით ე. ხარაძე ჩაირიცხა ხსენებული ინსტიტუტის ასპირანტურაში. ამ დროისთვის ჩამოყალიბდა აზრი აბასთუმანში, ყანობილის მთაზე ასტროფიზიკური ობსერვატორიის მშენებლობის დაწყების თაობაზე. 1932 წელს საქართველოს მთავრობამ ბატონი ევგენის მოხსენების საფუძველზე მიიღო დადგენილება ყანობილის მთაზე საბჭოთა კავშირში პირველი მაღალმთიანი ობსერვატორიის მშენებლობის შესახებ. სრულიად ახალგაზრდა, 25 წლის ასპირანტი, გახდა ჯერ კიდევ შექმნის პროცესში მყოფი, აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი. დაიწყო ბატონი ევგენის თავდაუზოგავი შრომა, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე გრძელდებოდა. ობსერვატორიის მშენებლობა, რომელსაც ე. ხარაძე ხელმძღვანელობდა, ურთუულეს პირობებში მიმდინარეობდა. იგი ხორციელდებოდა მაღალ მთაში უგზოობის, ორგანიზაციული სიძნელეების პირობებში. ბატონი ევგენის დაუცხრომელი ენერგია, მიზანდასახული მოქმედება გახდა მისი აშენებისა და იმ დროისათვის საუკეთესო ასტრონომიული დანადგარებით აღჭურვის საწინდარი. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია ბატონი ევგენის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ფართო საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე უნიკალურ სამეცნიერო დაწესებულებად, იგი ჭეშმარიტად წარმოადგენს აკადემიკოს ევგენი ხარაძის ქმნილებას და სრულიად ბუნებრივია, რომ დღეს აბასთუმნის ეროვნული ობსერვატორია მის სახელს ატარებს.

აბასთუმნის ობსერვატორიის საქმიანობა დაარსების დღიდან მოიცავს ასტროფიზიკის, ვარსკვლავთ და გალაქტიკური ასტრონომიის, ცვალებადი და არასტაციონარული ვარსკვლავების კვლევას, მთვარის ზედაპირის, მზისა და მზის სისტემის სხეულების, პლაზმის ფიზიკისა და რადიოასტრონომიის საკითხების შესწავლას და სხვ. ვარსკვლავთა სიჭარბის მეთოდის გამოყენებით ბატონი ევგენის მიერ შედგენილია იმ დროისათვის უნივერსალური, ყველაზე ზუსტი კატალოგი, რომლის ყოველმხრივმა და სრულმა ანალიზმა მისცა ავტორს საშუალება გამოეყვანა რეალური, მანამდე უცნობი ვარსკვლავთშორისი შთანთქმადი მატერიის განაწილების სურათი.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო კვლევებმა აღიარება მოიპოვა მსოფლიო მასშტაბით. ბატონი ევგენი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ასტრონომიული ორგანიზაციებისა და მათი ყრილობების მუშაობაში. ცნობილია ის დიდი რეზონანსი, რაც გამოიწვია ე. ხარაძის გამოსვლამ საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის XVII ყრილობაზე და ამ კავშირის კოლოკვიუმზე ვატიკანში, რომელიც მიეძღვნა სპექტრალური კლასიფიკაციის საკითხებს. 1975-1982 წლებში ბატონი ევგენი გახლდათ საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტი. იგი ამავე დროს იყო რიგი ასტრონომიული კომიტეტის წევრი, არაერთი საერთაშორისო ფორუმის ორგანიზატორი.



განუზომლად დიდია აკად. ე. ხარაძის ღვაწლი საქართველოში ასტრონომიული განათლების დანერგვის საქმეში. მან ნახევარ საუკუნეზე მეტხანს უხელმძღვანელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასტრონომიის კათედრას. ბატონი ევგენის ლექციები გამოირჩეოდა დიდი პროფესიონალიზმით, სიღრმითა და მაღალი კულტურით. მან ქართულ ენაზე გამოსცა ფუნდამენტური სახელმძღვანელოები „ასტროფიზიკის ზოგადი კურსი“ და „ასტრონომიის საფუძვლების“ ორტომეული. კარგად ესმოდა რა ასტრონომიის სწავლების მნიშვნელობა სასკოლო განათლებაში, მან სრულიად ახალგაზრდამ მოსწავლეთათვის დაწერა მათთვის გასაგები, იმავდროულად სათანადო მეცნიერულ დონეზე შესრულებული ორიგინალური სახელმძღვანელო. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბატონი ევგენის მოღვაწეობის წლებში მისი ძალისხმევით ასტრონომია გახდა სასკოლო პროგრამის ნაწილი ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს მოხდა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

1959 წლიდან 1966 წლამდე ე. ხარაძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პოსტი ეკავა. იგი მართლაც რომ სამაგალითო რექტორი იყო, მისთვის ჩვეული ენერგიით ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ უნივერსიტეტი ყოფილიყო მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს შორის. მისი ყოველდღიური საქმიანობის ყურადღების ცენტრში იყო სტუდენტობა, ახალგაზრდა მკვლევრების შემოქმედება, მუდამ ზრუნავდა მათი უკეთ წარმოჩინებისათვის მეცნიერების ამა თუ იმ დარგში.

აკადემიკოსი ევგენი ხარაძე 1972 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 1978 წელს აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს. ამ პოსტზე იგი ღირსეულად აგრძელებდა იმ ტრადიციებს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს მისმა სახელოვანმა წინამორბედებმა. ბატონი ევგენი დღენიადაგ ზრუნავდა მეცნიერების პერსპექტიული მიმართულებების განვითარებაზე, მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

1984 წელს ევგენი ხარაძე აირჩიეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. მიუხედავად დიდი დატვირთვისა, მუდამ ინტერესს იჩენდა მისი პირმშოს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის საქმიანობისადმი. როგორც წესი, კვირაში ერთხელ სტუმრობდა ყანობილს, რათა ორი დღე მთლიანად საყვარელი საქმისთვის დაეთმო.

ბატონი ევგენი 60 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აბასთუმნის ობსერვატორიას. მთელი ამ წლების მანძილზე იგი რეგულარული გამოცემის „აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენის“ მთავარი რედაქტორი იყო, რედაქტირებას უწევდა ობსერვატორიაში შესრულებულ ყველა სამეცნიერო ნაშრომს. 30 წლის მანძილზე იყო „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ რედაქტორი.

ყველაფერი, რასაც ევგენი ხარაძე ქმნიდა, როგორც მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი, აღბეჭდილი იყო უმაღლესი სტანდარტების ნიშნით. იგი იყო დაუღლელი შრომის, მოქმედებისა და ორგანიზებულობის სიმბოლო. ბატონი ევგენი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ფიქრობდა და იღვწოდა თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის.

ბატონ ევგენის ჰქონდა უდიდესი პიროვნული მომხიბვლელობა. მასთან ყოველი კონტაქტი იყო საოცრად შთამგეჭდავი და სამუდამოდ დასამახსოვრებელი. იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა კოლეგებისა თუ მოწაფეების არა მხოლოდ მეცნიერული კარიერის, არამედ მათი პირადი ცხოვრების ყველა წვრილმანის მიმართ და დაუღლელად ზრუნავდა მათზე.

მადლიერი ქართველი ხალხი მუდამ შეინახავს თავისი ღირსეული შვილის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და მოქალაქის ხსოვნას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დავიცვათ საზოგადოება კატასტროფისგან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აქტიურად თანამშრომლობს აკადემიების საერთაშორისო გაერთიანებასა (IAP) და აკადემიების ევროპულ (ALLEA) ასოციაციასთან. ამ თანამშრომლობის საგანი უაღრესად მნიშვნელოვანია, დღევანდელი გაგებით, თანამშრომლობის მიზანია კატასტროფებისაგან დაცული საზოგადოების აშენება.

უბედურება შეიძლება თავს დაატყდეს პიროვნებას, სოფელს, რეგიონს, სახელმწიფოს. საფრთხეც შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა იყოს, ბუნებრივი ან ადამიანის მიერ შექმნილი. ყველა ამ შემთხვევას მოიცავს და განიხილავს გაერთიანებული ერების „კატასტროფების რისკის შემცირების 2015-2030 წლების ჩარჩო-პროგრამა“, ე.წ. სენდაის პროგრამა. მისი დევიზი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ – საფრთხე კატასტროფად არ უნდა მოგვევლინოს.

სენდაი ქალაქია იაპონიაში, სადაც ხელმოწერილი იქნა აღნიშნული პროგრამა. ხელმომწერთა შორის არის საქართველოს მთავრობაც, რომელიც კურირებს ამ პროგრამის რეალიზაციას საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფუნქცია, როგორც პროგრამის ერთ-ერთი შემსრულებლისა, არის მსოფლიოს სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევებისა და გამოცდილების გადმოტანა საქართველოში.

სენდაის პროგრამის წარმატებით შესრულებაში განსაკუთრებითაა ხაზგასმული სამეცნიერო ორგანიზაციების როლი. ამიტომ აკადემიების საერთაშორისო გაერთიანებამ (**IAP**) სხვადასხვა ქვეყნებიდან (იაპონია, ავსტრალია, ირანი, ალბანეთი, შეერთებული შტატები, სამხრეთ აფრიკა, ჩინეთი, საქართველო, კანადა, ბრაზილია, იტალია, ინდოეთი, ინგლისი, მექსიკა) ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ვრცელი რეკომენდაციების სახით დაამუშავა დოკუმენტი. ამ დოკუმენტს განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და დაამტკიცებს, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტს ყველა სახელმწიფოსათვის. ამ ექსპერტთა ჯგუფში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ გაბრიჩიძე.

ქვეყანაში უსაფრთხოების საერთაშორისო პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა თანამშრომლობის წინადადებით მიმართა აკადემიების ევროპულ გაერთიანებას (**ALLEA**)-ს. ეს წინადადება განიხილა ევროპული გაერთიანების ხელმძღვანელმა ორგანომ, მოიწონა ინიციატივა და რეალური მექანიზმების შესამუშავებლად წერილი გადაუგზავნა ყველა ევროპულ აკადემიას. განიხილება საკითხი ევროპის მეცნიერების განვითარების ფონდის (**Horizon** 2020) ხაზით ევროპის სტრუქტურებთან ერთობლივი გრანტის მოპოვების თაობაზე.

„შენ საქართველოს გულს ეფერები“

რა აჩუქა პატრიარქმა შალვა პეტრიაშვილს?

საუკეთესო კარდიოლოგი, პროფესიონალი, სანდო, უშუალო, კაცთმოყვარე, ერთგული, მზრუნველი და ყურადღებიანი... – რა ეპითეტს აღარ მოისმენთ მისი დახასიათებისას...

ხომ წარმოუდგენელია სხვანაირი გულის ექიმი? თანაც, თუ ეს ექიმი პატრიარქის გულისცემასაა მიყურადებული!..

„შენ საქართველოს გულს ეფერები, ეგებ პოეტის გულსაც უწამლოო“...

დიდებული ლექსი უძღვნა მას პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა...

არა მხოლოდ პოეტის გულს... მისი თვალთახედვის არეში უამრავი ხელოვანი და მწერალი მოხვედრილა...

ეს ა.ალადაშვილის სახელობის №1 კლინიკის კარდიოლოგი, მედიცინის დოქტორი შალვა პეტრიაშვილია..

– დავიბადე რაჭაში, ჩემმა ბავშვობამ ექიმების ოჯახში ჩაიარა. ბაბუა 60 წლის განმავლობაში ემსახურებოდა რაჭაში ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ასევე – მშობლებიც: გივი პეტრიაშვილი და ჯულიეტა ანთაძე.

ბაბუის – აფრასიონ ნიკოლოზის ძე პეტრიაშვილის სახელი ამბროლაურის ახალ საავადმყოფოს მიანიჭეს.

მამა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იდგა ჯანმრთელობის სადარაჯოზე, დიდი ავტორიტეტითა და ხალხის სიყვარულით სარგებლობდა. ამის მიზეზი დიდი ფიქრის შემდეგ ამოვხსენი: პროფესიონალიზმის გარდა, ის ფლობდა ისეთ თვისებებს, როგორიცაა ადამიანის სიყვარული, გაჭირვებულის გვერდით დგომა, ამის გარდა, ის მოდიოდა ღმერთის რწმენიდან, რაც ძალიან გასაკვირი იყო იმ უღმერთობის პერიოდში.

დედაც და მამაც ექიმები იყვნენ და სულ ასეთი შფოთიანი ცხოვრებით ვცხოვრობდით. ისინი რაჭაში მუშაობდნენ, ძალიან დიდი მოთხოვნა იყო მათზე. ჩვენთან, ოჯახში მუდამ იყო ან ზარი, ან ვიღაც მოდიოდა და დატვირთული ცხოვრება ჰქონდათ.

მამა რომ გარდაიცვალა, მერე დედა უძღვებოდა ოჯახს, ჩემი და ჩემი ძმის აღზრდის ტვირთი დედამ იკისრა. თან მთელი დატვირთვით მუშაობდა. ძალიან უყვარდა თავისი საქმე და ჩვენზეც გადმოვიდა მედიცინის სიყვარული.

ვცდილობდით, ეს ტვირთი შეგვემსუბუქებინა. ამაში მას ეხმარებოდა ბებია, ტრადიციული ოჯახიდან გამოსული ქალბატონი, უნივერსიტეტის და გიმნაზიის განათლებით, რომელიც მაქსიმალურად ცდილობდა, ჩვენ აღვეზარდეთ ძირითადი ეტიკეტის დაცვით, მაგრამ ძირითადი აქცენტი ჩემზე იყო გაკეთებული,

ჩემს ძმას ეს იმდენად არ სჭირდებოდა, მე როგორც მოუსვენარ და ცელქ ბავშვს, ყოველთვის მტუქსავდა და ცდილობდა, რომ ეს ეტიკეტები მკაცრად დამეცვა.

მე ამბროლაურში დავიბადე, დედა თბილისში დაიბადა, თბილისში დაამთავრა სკოლა, მერე განაწილებით წავიდა რაჭაში, იქ შეხვდა მამას და დარჩა. ძმა – თეიმურაზი მყავს, რომელიც დაიბადა თბილისში. გაიზარდა მთაწმინდაზე, დაამთავრა 47-ე საშუალო სკოლა, მანაც დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. მე სწავლა თბილისში დავიწყე და მერე რაჭაში დავამთავრე საშუალო სკოლა. იმის მიუხედავად, რომ ექიმების ოჯახში გავიზარდე და მიზიდავდა ეს პროფესია, მაინც მოვინდომე დრამის რეჟისორობა და თეატრალურ ინსტიტუტში ჩასაბარებლად ვემზადებოდი.

– რატომ?

– არ ვიცი, ექიმების ოჯახი იყო და ჩვენებს ხელოვნება უყვარდათ. დედას ძალიან უყვარდა ლიტერატურა, ხელოვნება და თეატრი. ეტყობა, ეს ჩემზეც გადმოვიდა. ბავშვობიდან დავყავდი ყველა ახალ სპექტაკლზე, პრემიერებზე ოპერის თეატრში, და ეს სიყვარული ჩემზეც გადმოვიდა...

– პოლიკარპე კაკაბაძესთან მიგიყვანეს დასაკვალიანებლად...

– როდესაც ჩვენი ოჯახის ახლობელს პოლიკარპე კაკაბაძეს უთხრეს, რომ მე მინდოდა დრამის რეჟისორობა, მან თავზე ხელი გადამისვა და ჩვეული სითბოთი მითხრა, შექსპირი გიყვარსო? მე რამდენიმე ნაწარმოები წაკითხული და მერე გადაკითხულიც მქონდა, და ვუთხარი, რომ შექსპირი ძალიან მიყვარდა. მაშინ, იცი, რა ქენიო, – დამაკვალიანა, – თუ შენ რეჟისორობა გინდა, აიღე „ოტელო“ და შენი ხელით გადაწერე ერთ რვეულშიო... მართლაც, გამოვიქეცი სახლში და დავიწყე დავალების შესრულება. გადავწერე ნახევრამდე, მერე უკვე მძლია სიზარმაცემ და დავალება შეუსრულებელი დამრჩა. არ ვიცი, მე რომ ეს დავალება ბოლომდე შემესრულებინა, ასრულდებოდა თუ არა ჩემი ოცნება...

მერე ბატონი პოლიკარპეც მალე გარდაიცვალა და ამით დაესვა წერტილი ჩემს სერიოზულ ოცნებას თეატრზე. თუმცა როდესაც გავხდი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, პირველ კურსზე მაინც დავდიოდი თეატრალურ ინსტიტუტში, ბატონ მიშა თუმანიშვილისა და ლილი იოსელიანის კონსულტაციებზე, მაგრამ უკვე როცა გადავხედე ჩემს ძალებს, ვიფიქრე, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო, ჯობდა, დარჩენილიყო ჩემში მხოლოდ სიყვარული ამ საქმისა, თავი დამენებებინა და ისევ ჩემს პროფესიას მივყოლოდი, რომელიც მე, მართლაც, უზომოდ შემიყვარდა.

მერე მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო მარტო სიყვარული საკმარისი არ არის. ხელოვნებას სათანადო მონაცემები უნდა, კიდევ კარგი, დროზე მივხვდი ამას...

– ასე მოხვდით სამედიცინო ინსტიტუტში...

– სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩავირიცხე, ინსტიტუტის დასრულების მერე სხვა სურვილები მქონდა, სწავლის გაგრძელებაც მინდოდა. მოსკოვი იყო ხელმისაწვდომი, სადაც შეიძლებოდა სწავლის გაგრძელება, მაშინ მეტზე ვერ იოცნებებდი, მაგრამ არ ხდება ყველაფერი ისე, როგორც გინდა, და ეს საქმე არ გამოვიდა... ამიტომ ინტერნატურა თბილისში გავიარე და შემდეგ რაჭაში განაწილებით წავედი.

– რაჭაში ექიმად სამი წელი იმუშავეთ...

– ამბროლაურში ვმუშაობდი, იქ ხალხი ძალიან დიდი სითბოთი შემხვდა, ეს ჩემი წინაპრების დამსახურება იყო, მათი საქმეები ახსოვდათ და უყვარდათ და ეს სიყვარული დღემდეა შემორჩენილი, ძალიან დიდი სითბოთი იგონებენ მათ. რაჭაში სამი წელიწადი ვიმუშავე, ჩემი ცხოვარების უბედნიერესი პერიოდი იყო, მთელი დატვირთვით ვმუშაობდი, დღე და ღამე არ არსებობდა...



შვილებთან ერთად

შემდეგ ჩავირიცხე ორდინატურაში და სწავლა განვაგრძე თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში, მუშაობა დავიწყე აქ, ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკაში, სხვადასხვა დროს ვიყავი განყოფილების ექიმი, განყოფილების გამგე, კათედრის ასისტენტი და კათედრის დოცენტი, კათედრის ასოცირებული პროფესორი. მუშაობის პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწეოდი, სამედიცინოს თანამშრომელი ვიყავი და ბაზა სწორედ აქ, ამ კლინიკაში იყო.

შემდეგ მოხდა ისე, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზა შეიცვალა და გადავიდა სხვა საავადმყოფოში.

ისე შევეჩვიე და მიყვარდა ეს ძველი ტრადიციული კედლები, რომ მე არ წავედი და ასე დავთმე სამედიცინო უნივერსიტეტი...

დავრჩი აქ და ვარ კარდიოლოგიური და თერაპიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

– კარდიოლოგობა რამ გადაგაწყვეტინათ?

– ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო ბებიაჩემის ექიმი, კარდიოლოგი, ძალიან სახელიანი და ინტელიგენტი გივი კალანდარიშვილი. როცა ჩვენთან მოდიოდა, ისეთი მოწიწებით შევყურებდი, ისე მომწონდა მისი მანერები, საუბარი, მეც მომინდა კარდიოლოგობა. პირველი კურსიდანვე დავისახე მიზანი, რომ კარდიოლოგი გამოვსულიყავი.

– და მიაღწიეთ თქვენს მიზანს, კმაყოფილი ხართ?

– კმაყოფილი როცა არ ხარ, მაშინ ბედნიერიც არ ხარ შენი სამუშაოთი... ისეთი წლები გავიარეთ, საკმაოდ მწირად ანაზღაურებადი იყო ჩვენი საქმე. დავდიოდით ფეხით, სიბნელეში, სიცივეში, მოვდიოდით და მთელი დატვირთვით ვმუშაობდით. მერე ისევ მივდიოდით ფეხით სიბნელეში, სიცივეში... თუ არა საქმის სიყვარული, მარტო მატერიალური ანაზღაურების გამო ამას ვერ გააკეთებ ადამიანი.

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გულის ექიმი ხართ... როგორ გიპოვათ პატრიარქმა?

– ეს მოხდა 1996 წლის ნოემბერში, როდესაც ჩემთან მოვიდა ერთ-ერთი ჩემი პაციენტი და მითხრა: პატრიარქმა სურვილი გამოთქვა, რომ მასთან მიგიყვანოთ, როგორც ექიმიო... მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი... ეს იყო შოკი, მთელი ღამე არ მეძინა, მეორე დღეს, მართლაც, მივედი... ცოტა სხვანაირი წარმომედგინა და დამხვდა მომღიმარი, მოალერსე, საოცარი სითბოთი. მგონი, მე იქიდან მაშინ განკურნებული წამოვედი. მას მერე აეწყო ჩვენი ურთიერთობა.

– მას მერე, 21 წლის განმავლობაში, პატრიარქის გვერდით ხართ...

– მას მერე ვარ... იყო პერიოდები, როცა მას არ სჭირდებოდა ასეთი ინტენსივობით ჩემი ყოფნა, ამიტომ ცოტა შემსუბუქებულად ვიყავი... 2009 წლიდან უფრო აქტიურად ვარ მასთან. მასთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საზღვარგარეთის ქვეყნებში მომიწია ყოფნამ. ეს იმხელა ბედნიერებაა, ისეთი რაღაც ვნახე, როგორ ხვდება მას ხალხი, როგორი სიყვარულია. საქართველოში ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ როგორი მოწიწება აქვთ მისდამი საზღვარგარეთ, სხვა კონფესიის ხალხს, და თვითონაც როგორია მისი დამოკიდებულება მოგზაურობაში, ადამიანების მიმართ, ყველას მიმართ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემზეც ის იფიქრებდა, თუ რით ვიკვებები და სად მძინავს...

– პატრიარქთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი მღელვარე ამბის დროსაც ხომ მასთან იყავით?

– მაშინაც ვიყავი, რა თქმა უნდა, ძალიან უსიამოვნო ფაქტი იყო, დღემდე ვერ გავიგე, რა იყო და რაში იყო საქმე, მაინც ვღელავდით, რადგან ასაკოვანი ადამიანია, მიდიოდა გერმანიაში საოპერაციოდ, საკმაოდ რთული ოპერაცია უნდა გაკეთებულიყო და ღელვასთან იყო დაკავშირებული.

მერე დაემატა გაუგებარი ამბავიც და ამან მაინც ცოტათი შეგვძრა.

– რა განცდა ჰქონდა მაშინ?

– სხვათა შორის, მას ვერ შეატყობ, რომ რამეს განიცდის, არასოდეს თავის განცდებს არ გამოხატავს. შეიძლება, სიხარული გამოხატოს, მაგრამ ის, რომ რაღაცას განიცდიდეს, ამას ჩვენ ვხვდებით... თავზე არ მოგახვევს. არც არავისზე ცუდს არ ამბობს. მე არ გამიგია, რომ ვიღაცაზე, თუნდაც იმ ადამიანზე, ვინც მისდამი ცუდად არის განწყობილი, ცუდი თქვას – პირიქით.

– გულის მდგომარეობა როგორ აქვს?

– არა უშავს, ახლა სტაბილურია, იყო პრობლემები, და ეს პრობლემები მოგვარდა...

– ბედნიერი ადამიანი ხართ – პატრიარქის გულის ექიმი გქვიათ...

– ძალიან დიდი პატივია, მართლაც. ხანდახან ენაც არ მემორჩილება, რომ ვთქვა და ჩემი თავი ღირსად ჩავთვალო, რომ მის გვერდში მიხდება ყოფნა.

– ალბათ, პატრიარქის საჩუქრებიც გექნებათ...

– ძალიან საინტერესო რაღაცების ჩუქება იცის. იცის წიგნების, ჯვრის, სამაჯურის, ხატის ჩუქება...

– მისი რომელი საჩუქარი გიყვართ?

– ძალიან მიყვარს ეს სამაჯური, რომელსაც 9 წელიწადია, ვატარებ და რომელსაც აწერია: „ღმერთმა დაგლოცოთ“, შიგნიდან კი ხელმოწერა აქვს. სულ მეშინია, არ დავკარგო...

– მარჯანიშვილის თეატრის ექიმიც იყავით...

– დიდხანს ვიყავი მარჯანიშვილის თეატრის ექიმი. უბედნიერესი წლები იყო ჩემთვის, რადგან უთბილეს გარემოში და ძალიან კარგ ხალხთან ვიყავი.

გოგი გელოვანი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ელენე ყიფშიძე, თენგიზ არჩვაძე... ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ეს ხალხი ძველი თაობიდან.

– ოთარ ჭილაძესთანაც გქონდათ ურთიერთობა...

– ბატონ ოთარ ჭილაძესთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. ოთარს მრავალი ექიმი ჰყავდა და მათ შორის ერთ-ერთი მეც ვიყავი. არასოდეს ვზარდებოდი და როცა მირეკავდა, მივდიოდი მასთან.

ერთხელ ბატონი ოთარი მეუბნება, გოდორი თუ გაქვთ სახლშიო? მე ვუთხარი, რაჭაში გვაქვს ძველი გოდორი-მეთქი, თბილისში არა-მეთქი. კაი, მაშინ თბილისშიც გქონდეთ გოდორიო. – მითხრა, გავიდა მეორე ოთახში და გამოიტანა წიგნი...

უცებ ვერ გავიაზრე, რომ რომან „გოდორზე“ მეუბნებოდა.... თავისი ავტოგრაფით მაჩუქა ეს „გოდორი“...

– დაწყებული ვერიკო ანჯაფარიძითა და აკაკი ვასაძით, იმ თაობის ყველა მსახიობი სცენაზე გყავთ ნანახი... თუნდაც სოფიკო ჭიაურელი, ლია ელიავა...

– ამით ჩემს თავს ძალიან ბედნიერად ვთვლი. ეს ადამიანები სცენაზეც და სცენის მიღმაც მყავს ნანახი.

რაც შეეხება სოფიკო ჭიაურელს, სახლში რამდენჯერმე ვიყავი, მახსოვს, ერთხელ მივედი და ტორტი ჰქონდა, ვიღაცამ მიართვა ტორტი... მე ვუთხარი, მე მოვიჭრი-მეთ-

ქი, რადგან ტორტი მაინცდამაინც არ მიყვარს. ვიფიქრე, რომ ძალიან პატარა ნაჭერს მოვიჭრიდი და გამოვიდა დიდი... ღიმილით მითხრა, აი თურმე რატომ გინდოდა, რომ შენ მოგეჭრა ეს ტორტიო.

არაჩვეულებრივი ადამიანი ლია ელიავა ჩვენთან ინფარქტით იწვა. მახსოვს, ღამით განყოფილებაში მოვედი, ძალიან დიდი მიღება იყო და ვიფიქრე, მორიგე ექიმს მივხმარებოდი.

შევიხედე ინტენსიურში, გადატენილი იყო, ადგილს ვერ იპოვიდით... და ვხედავ, წევს ლია ელიავა. გადავირიე, იმიტომ, რომ წევს ქართული კინოს ნამდვილი ვარსკვლავი და პრეტენზია არა აქვს, რომ ამდენ ხალხშია მოთავსებული, როგორც ზოგმა იცის, სად დამაწვინეთო... ძალიან შევწუხდი და ვუთხარი, ჩემს ოთახში გადაგიყვანთ- მეთქი. არავითარ შემთხვევაში, სადაც სხვები არიან, მეც იქ ვიქნებიო... ძალიან კმაყოფილი ვარ, თან მყვება ყველაო.

ბოლოს, მაინც გადავიყვანეთ და ცალკე დავაწვინეთ, ამით ჩვენ თვითონ მივიღეთ სიამოვნება.

დიდი სითბოთი ვიხსენებ თემო გოცაძეს და მარინა ჯანაშიას, ჟანრი ლოლაშვილსა და თათული დოლიძეს. ძველი თაობის მომღერალი ციცინო ციცქიშვილიც ჩემი პაციენტი იყო, ცნობილი მწერალი და მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე. მისი ავტოგრაფითაც მაქვს წიგნი, ბაჩანა ბრეგვაძე... მანაც ავტოგრაფით მისახსოვრა.

– თემურ ჩალაბაშვილმა ლექსი მო-

ᲐᲤᲠᲐᲡᲘᲝᲜ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გიძღვნათ, რომელიც თქვენს კაბინეტში გიკიდიათ... მინდა, ამ ლექსს მკითხველებიც გაეცნონ...

* * *

პროფ. შალვა პეტრიაშვილს,
უწმინდესისა და უნეტარესის
ილია მეორის პირად ექიმს, –
ლექსპრომტად.

ღმერთმა გარგუნა ბედი ექიმის
და სითბოს საგზალად ჩამორიგება,
სწორედ ამგვარი სიყვარულისგან
ტრფობის ტაძარი თუ აიგება.

გისმენ, სავსე ვარ ბედნიერებით,
მეტყვი სიტყვას და მარჩენ უწამლოდ,
შენ საქართველოს გულს ეფერები,
ეგებ პოეტის გულსაც უწამლო!

– თემურ ჩალაბაშვილი მოვიდა ჩემთან, როგორც პაციენტი, ჩვენ დავმეგობრდით, არაჩვეულებრივი პიროვნებაა, მადლიერების გრძნობა ისეთი კარგი რამაა...

მომიძღვნა ლექსი და, სხვათა შორის, ეს არ არის მოვალეობის მოსახდელად დაწერილი ლექსი... ეს არის გულიდან ამოძახილი და, მგონი, მხატვრული თვალსაზრისითაც ძალიან კარგი გამოვიდა.

– ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის №1 კლინიკა ტრადიციული, დიდი ისტორიის მქონე დაწესებულებაა...

– ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის შენობა 1881 წელს ქალაქის მუნიციპალიტეტს გადასცა სამხედრო უწყებამ. აქ მაშინ მუნიციპალური საავადმყოფო გაიხსნა.

იყო ასევე სასწრაფო დახმარების სადგურივით რაღაც პატარა, სადაც სასწრაფო დახმარების ეტლები ემსახურებოდა ქალაქს.

მას მერე მოდის ეს კლინიკა, ამხელა ისტორია, მგონი, არცერთ კლინიკას არა აქვს თბილისში.

როცა უკვე დადგა საკითხი, რომ ეს კლინიკა იხურებოდა, ვინც შეიძინა, ამით დიდი ეროვნული საქმე გააკეთა. ქალაქს შეუნარჩუნა ტრადიციული კლინიკა. არ ვიცი, ეს ფინანსურად მისთვის რამდენად მომგებიანი იყო, მაგრამ ქვეყნისთვის კარგი საქმე გაკეთდა.

ფოიეში ნახავთ სურათებს, რამდენად ტრადიციული კლინიკაა... ძალიან დიდი ხალხი მოღვაწეობდა აქ. მარტო ალექსანდრე ალადაშვილის და მისი შვილის ვახტანგ ალადაშვილის სახელი რად ღირს, სხვას ყველას თავი რომ დავანებოთ.

ეს იყო განათლების კერა, აქ გაიზარდნენ ექიმთა თაობები, აქ იყო ორი – ქირურგიის და თერაპიის კათედრა.

– ჩვენს დროში ძალიან გახშირდა გულის დაავადებები...

– გულის დაავადებები ყველა დროში აქტუალური იყო, განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა ტექნიკური პროგრესის ტემპი იზრდება, სტრესები მატულობს. გახშირდა იშემიური დაავადებები, მისი ერთ-ერთი სახეობა ინფარქტი გაახალგაზრდავდა კიდეც.

ადამიანი მთლიანად არის ჩაფლული თავის სამუშაოში და ჯანსაღი ცხოვრების წესს ნაკლებად მისდევს... პირველ ყოვლისა, ადამიანმა, თუ სურს, რომ ჯანმრთელი იყოს, ჯანსაღი ცხოვრების წესს უნდა მისდიოს, შეძლებისდაგვარად. მავნე ჩვევებს აარიდოს თავი... მნიშვნელოვანია კვების რეჟიმი, წონის კორექცია...

დღეს სტრესს ვერ გაექცევი, მაგრამ ამ სტრესს მომზადებული უნდა შეხვდე, რომ კიდევ უფრო არ გამძაფრდეს მდგომარეობა.

– სხვანაირად გამორჩეული იყო მედეა ჯაფარიძესთან ურთიერთობის პერიოდი?

– მედეასთან ბავშვობიდან ვახლობლობდი და უდიდესი სიკეთე დამამახსოვრდა. ყოველი შეხვედრისას, მერეც, როცა უკვე სტუდენტი ვიყავი, დაგვიძახებდა, მოგვეფერებოდა, ფული გააქვს? – მეტყოდა ხოლმე და უნდოდა, რაღაც ყურადღება გამოეხატა.

სულ ცდილობდა, სხვას დახმარებოდა. ასეთი იყო....

– და დღევანდელი თაობა არის ასეთი?

– არიან, არიან... მაშინ უფრო ჩანდა ეს ხალხი. იმიტომ რომ ისედაც სხვანაირები იყვნენ, ინტელექტუალურადაც და დონითაც. მარტო პროფესიონალური თვალსაზრისით კი არა, მოქალაქეობრივი დონით იყვნენ მაღალი. ახლაც არიან, მაგრამ ისინი უფრო ელვარეები იყვნენ.

– დღევანდელ თბილისში რა მოგწონთ და რას შეცვლიდით, თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული?

– ქალაქი ძალიან გაიზარდა, შეიცვალა იერსახე, ზოგან უკეთესობისკენ, ზოგან – უარესობისკენ. მაგრამ რატომღაც იმ ძველი თბილისის ნოსტალგია მაქვს.

ჩვენი, დედაჩემის ოჯახი ძირძველი თბილისური ოჯახი იყო, მთაწმინდაზე, სადაც ვიზრდებოდი, სხვანაირი ურთიერთობები იყო, სხვანაირი შენობები, უბანი... შეიძლება, ეს ჩემი სუბიექტური დამოკიდებულებაა, დრო რომ გადის, მაინც სიკეთისკენ იცვლება ხოლმე. მე უფრო ძველი იერსახე და ურთიერთობები მომწონდა.

თუმცა ახლაც, ვინც ერთ წრეშია, იქ ის ურთიერთობები შენარჩუნებულია.

– თავისუფალი დრო თუ გაქვთ და რა გიტაცებთ?

– მაინცდამაინც ბევრი არ მაქვს, მაგრამ როცა მაქვს, მიყვარს ოჯახთან ერთად სეირნობა მთაწმინდის ქუჩებში, ფუნიკულიორზე, მამადავითზე, თეატრში, ოპერაში, კონცერტებზე წასვლაც გვიყვარს.... მეგობრებთან მისვლაც მიყვარს...

– მწერლობიდან რას კითხულობთ?

– ქართველებიდან ოთარ ჭილაძე და გურამ დოჩანაშვილი ძალიან მიყვარს. ასევე – ანა კალანდაძე, ბესიკ ხარანაული, ოთარ ჭილაძე...

– ოჯახი...

– მეუღლე პედიატრი მარინე გაგოშიძე, სამედიცინო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორია. ორი შვილი – ანა და გივი, ორივენი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან.

–კარდიოლოგია იტაცებთ?

– მე მგონი, ორივეს, მთავარია, კარგად ისწავლონ და ბევრი იშრომონ, შრომის გარეშე არაფერი არ გამოდის...

ესაუბრა
თამარ ᲨᲐᲘᲨᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

◎ **ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲕᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ?!**

ᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲖᲐᲖᲐ ᲡᲘᲜᲐᲣᲠᲘᲫᲔ: ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ!

„ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ცნობიერების ამაღლება, ვინაიდან ორსულმა უნდა იცოდეს, რა არის საყურადღებო ნიშნები მომავალი გართულების თავიდან ასაცილებლად“, – აცხადებს სამშობიარო სახლის PINEO Luxury-ის დირექტორი ᲖᲐᲖᲐ ᲡᲘᲜᲐᲣᲠᲘᲫᲔ იმ კვლევის შედეგების კომენტირებისას, რომლის მიხედვითაც საქართველოში დედათა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

დიახ, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უფლებებისა და კეთილდღეობის ეროვნული შეფასების შემაჯამებელი დასკვნის მიხედვით, საქართველოში დედათა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. კვლევის მიხედვით, ამის მიზეზი არის ანტენატალური და პერინატალური ზრუნვის დაბალი ხარისხი, ტრანსპორტირების სუსტი სისტემა, მარეგულირებელი და მონიტორინგის გაუმართავი სისტემა, სამშობიარო სახლებისა და ქალთა საკონსულტაციო ცენტრების პერსონალის ტრენინგების ნაკლებობა.

რაც შეეხება საკეისრო კვეთების გაზრდილ რაოდენობას, კვლევაში აღნიშნულია, რომ, ერთი მხრივ, ქალები ამ მეთოდს მიმართავენ მშობიარობასთან დაკავშირებული ტკივილის ასარიდებლად, მეორე მხრივ, ბუნებრივი მშობიარობის დადებითი მხარეებისა და საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული გართულებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო. „გარდა ამისა, ქალების მიერ საკეისრო კვეთის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ასევე განპირობებული იყოს ექიმების პირადი ინტერესით, გამოიმუშაონ მეტი ფული და დაზოგონ დრო“, – აღნიშნულია კვლევაში.

საქართველოში დედათა სიკვდილიანობის ზრდაზე და ექიმთა ნაწილის არაპროფესიონალიზმზე „კომერსანტი“ არაერთხელ წერდა. მეტიც, ჩვენ მოვუწოდებდით ჯანდაცვის სამინისტროს, რომ ყოველ ასეთ ფაქტზე რეაგირება ყოფილიყო მწვავე, რათა თუ იქ ექიმის დანაშაული გამოიკვეთებოდა, მას შესაბამისი პასუხი ეგო.

ბოლო 2 წელიწადში საქართველოში დედათა სიკვდილიანობის ფაქტების მოკლე ქრონიკა ასეთია:

2016 წლის 16 ივნისს წნორში 28 წლის ქალი მშობიარობის შემდგომი გართულებით გარდაიცვალა. მედიკოსების მხრიდან, ფატალური შემთხვევის შედეგად სისხლდენა სახელდება.

2016 წლის ოქტომბერი – ორ დღეში ღუდუშაურის კლინიკაში ორი მშობიარე ახალგაზრდა ქალი საკეისრო კვეთის შემდეგ გარდაიცვალა. ექიმების განცხადებით, ორივე შემთხვევაში სამშობიაროში მისვლისას მშობიარეების მდგომარეობა უკვე მძიმე იყო.

2016 წლის 28 ოქტომბერს ქუთაისში საკეისრო კვეთის შედეგად 23 წლის ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. ოჯახის წევრების მტკიცებით, პაციენტი ქირურგის მიერ დაშვებულ შეცდომას ემსხვერპლა. მედიკოსების მტკიცებით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ხუთი წლის წინათ არასწორად ჩატარებული საკეისრო კვეთა გახდა.

2017 წლის 1 მაისს 29 წლის ქალი გაგუას კლინიკაში მშობიარობის შემდგომ გარდაიცვალა. ექიმების განმარტებით, მიზეზი სისხლდენა გახდა.

2017 წლის 18 ივლისს რუსთავის კლინიკაში 28 წლის მშობიარე გარდაიცვალა. ექიმების თქმით, ბავშვის გადარჩენა მოხერხდა, დედას ემბოლია განუვითარდა, რამაც სიკდვილი გამოიწვია.

ეს არის მოკლე ჩამონათვალი ბოლო პერიოდში მომხდარი შემთხვევებისა. ყველა აღნიშნულ ფაქტზე ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სამსახური სპეციალურ მოკვლევას მუდმივად ატარებს.

რაც შეეხება ოფიციალურ მონაცემებს, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ „კომერსანტისთვის“ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოში 2015 წლის განმავლობაში აღრიცხული იყო ორსულობასთან დაკავშირებული გარდაცვალების 19 შემთხვევა. ხოლო 2016 წლის განმავლობაში 13 შემთხვევა.

სამშობიარო სახლის PINEO Luxury-ის დირექტორი ზაზა სინაურიძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ კვლევაში ჩამოთვლილი პრობლემების უმეტესობა, რის გამოც საქართველოში დედათა სიკვდილიანობის საგანგაშო მაჩვენებელი ფიქსირდება, ნამდვილად დგას.

„ანტენატალური და პერინატალური ზრუნვის დაბალი ხარისხი კვლავ დღის წესრიგში დგას, შესაბამისად, ანტენატალურ მეთვალყურეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ პათოლოგია დროულად იქნეს აღმოჩენილი და გადანაწილებული. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება, ვინაიდან ორსულმა უნდა იცოდეს, რა არის საყურადღებო ნიშნები მომავალი გართულების თავიდან ასაცილებლად. მან დროულად უნდა მიაკითხოს კვალიფიციურ ექიმს. პერინატარული სამსახურების რეგიონალიზაციის პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ ამისკენ არის მიმართული, რომ დედათა სიკვდილიანობა შემცირდეს. რა თქმა უნდა, ამ მხრივ მეტია გასაკეთებელი. პირველ რიგში, აუცილებელია მომსახურების ხარისხის ამაღლება. ტრენინგებია საჭირო, პერსონალის მომზადება და გუნდური მიდგომა. რაც შეეხება ტრანსპორტირების ხარისხს, მე პირადად სისტემის აწყობაში ჩართული ვიყავი. ტექნიკურად ამისი პრობლემა არ დგას“, – აღნიშნავს სინაურიძე.

რაც შეეხება სელექტიურ კონტრაქტირების პროგრამას, რომელიც თავდაპირველად სამშობიარო სახლებს შეეხო, სინაურიძის თქმით, ამან დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი უნდა შეამციროს.

მისივე თქმით, საკეისრო კვეთების მაჩვენებელი კვლავ მაღალია: **„მთელ მსოფლიოში საკესირო კვეთის ნორმალურ პროცენტად 15-ია მიჩნეული. ჩვენთან არის 30%. თუმცა მსოფლიოში ბოლო წლებში საკეისრო კვეთების მატების ტენდენცია შეინიშნება. მაგალითად, გერმანიაშიც მოიმატა. როცა საკეისრო კეთდება, მისი არამიზანშეწონილობა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ დაბალია. შესაბამისად, ამას ცნობიერების აწევა და კვალიფიკაციის ამაღლება სჭირდება“.**

რაც შეეხება დედათა სიკვდილიანობის გახშირებულ მიზეზს, ზაზა სანაურიძე მშობიარობის და მათ შორის საკეისრო კვეთის შემდგომ სისხლდენას ასახელებს.

„მთელ მსოფლიოში დედებში სიკვდილიანობის შემთხვევებიდან ყველაზე ხშირი არის პრეეკლამსია (პრეეკლამსია ორსულობიდან 20 კვირის შემდეგ მაღალი წნევით, სახის და ხელების შეშუპებით და შარდში ცილის მაღალი შემცველობით ხასიათდება). ყველაზე მეტი გართულება სწორედ აქედან მოდის. მეორე ადგილზეა მშობიარობის შემდგომი სისხლდენა და შემდეგ უკვე ინფექციური გართულებები. საქართველოში რამდენადაც ვიცი, პირველ ადგილზეა საკეისრო კვეთის ან ბუნებრივი მშობიარობის შემდგომი სისხლდენა. “, – აცხადებს ზაზა სინაურიძე.

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲙᲔᲜᲭᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ჯეიმს კოილი: ნატოში გაწევრება მაშინ, როცა საზღვრის მთლიან პერიმეტრს ვერ აკონტროლებ, ძალიან ძნელია!..

— ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად სამხედრო თვალსაზრისით საქართველოს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. რუსეთის არმია დღეს 10-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე 2008 წელს იყო, — აცხადებს ჯეიმს კოილი, „ატლანტიკური საბჭოს“ მკვლევარი და ჩეპმანის უნივერსიტეტის გლობალური კვლევების ცენტრის დირექტორი. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოში რეინტეგრაციისთვის, მისი აზრით, მოთმინება, მოკავშირეებთან თანმიმდევრულობა და საღი ეკონომიკური კურსია საჭირო. დოქტორ კოილს „ამერიკის ხმა“ ესაუბრა. მან საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდოვის და უკრაინის სეპარატისტულ კონფლიქტებზე წიგნი გამოაქვეყნა, სადაც ამ კონფლიქტებში რუსეთის როლზე საუბრობს.

— ბატონო ჯეიმს, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. ცოტა ხნის წინათ წიგნი გამოაქვეყნეთ, სადაც რუსეთის მეზობელ ქვეყნებში — საქართველოში, უკრაინაში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში მიმდინარე კონფლიქტებზე საუბრობთ. რა იყო თქვენთვის ყველაზე დიდი აღმოჩენა ამ კვლევის დროს?

— ყველაზე ცხადი აღმოჩენა ის იყო, რომ ამ კონფლიქტებს მსგავსი საფუძვლები აქვს, რუსეთს — კარგად შემუშავებული სტრატეგია, რომელსაც თითოეულ ამ ქვეყანაში იყენებს. თითოეულ შემთხვევაში მოსკოვმა მონახა სეპარატისტული ჯგუფები, რომლებიც ცენტრალური მთავრობით უკმაყოფილო იყვნენ. აღმოუჩინა მათ მატერიალური და სხვა სახის მხარდაჭერა, რის შემდეგაც სეპარატისტებმა ბრძოლა დაიწყეს. ამ ქვეყნებში რუსეთი სეპარატისტებს ან ეხმარებოდა ან მათ მხარდამხარ იბრძოდა ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ. კონფლიქტის რეგიონში რაღაცა სახის ორგანიზებული მმართველობის მიღწევის შემდეგ კრემლი სამშვიდობო ოპერაციის ორგანიზატორი ხდებოდა, რეგიონში სამშვიდობო ძალებს — რუს სამხედროებს — აგზავნიდა და შემდეგ სამშვიდობო ოპერაციას ხელმძღვანელობდა. კონფლიქტი არცერთ შემთხვევაში არ გადაჭრილა. ეს რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა, რადგან მშვიდობის დამყარების შემთხვევაში ამ ქვეყნებიდან ჯარების გამოყვანა მოუწევდა.

— არის თუ არა მსგავსება ამ სამშვიდობო ოპერაციების მანდატებსა და მექანიზმებში?

— კი, თუმცა თითოეული ეს კონფლიქტი განსხვავებულია. მაგალითად, აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღისა და მოლდოვას დნესტრისპირეთის შემთხვევებში, რუსეთი სეპარატისტების ტერიტორიას ოფიციალურად არ აღიარებს. საქართველოს აფხაზეთისა და სამხერთ ოსეთის შემთხვევაში კი ისინი დამოუკიდებელ ქვეყნებადაც კი აღიარა. უკრაინას რაც შეეხება, დონბასს რუსეთი დამოუკიდებლად არ აღიარებს, მაგრამ ყირიმი 3 საათით დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარა და შემდეგ ის რუსეთის ნაწილად შეიერთა.

— ამ კონფლიქტების შესწავლის დროს გამოიკვეთა თუ არა კავშირი ქვეყნის დასავლურ მისწრაფებებსა და რუსეთის რეაგირების სიმკაცრეს შორის?

— ყველა შემთხვევაში ვნახეთ ის, რომ რუსეთი ამ ქვეყნების დასავლური მისწრაფების ნებისმიერი გამოხატვის პრევენციას ცდილობს. მოლდოვას ევროკავშირის წევრობა სურს. აზერბაიჯანი ნეიტრალური პოლიტიკის გატარებას ემხრობა, მაგრამ მათ შეგნებული გადაწყვეტილება მიიღეს, აეშენებინათ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი და ამით რუსეთზე დამოკიდებულება შეემცირებინათ. უკრაინას ევროკავშირის წევრობა და საქართველოს კი ევროკავშირთან ერთად, ნატოში გაწევრება სურს. პუტინმა ჯერ კიდევ პრეზიდეტ ჯორჯ ბუშ უმცროსს უთხრა, რომ საქართველოს და უკრაინის ნატოში მიღებაზე არ ემუშავათ, რადგან ეს რუსეთის ინტერესებს დაემუქრებოდა და კრემლი ამას არ დაუშვებდა. ასეც მოხდა.

— უნდა გვახსოვდეს, რომ ამ კონფლიქტებს რუსეთი აკონტროლებს. მოსკოვს ნებისმიერ დროს შეუძლია მათი ინტენსივობის გაზრდაც და შემცირებაც. თქვენი აზრით, რატომ განახლდა ომი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 2008 წელს? ამას არაფერი აქვს საერთო აფხაზების ან ოსების მხრიდან დამოუკიდებლობის სურვილთან. საქართველოში ომი იმიტომ მოხდა, რომ დასავლეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა. კრემლმა ამიტომაც გადაწყვიტა, საქართველოს მაგალითით დასავლეთისთვის ჭკუა ესწავლებინა. გარდა ამისა, ნატოში გაწევრება მაშინ, როცა საკუთარი საზღვრის მთლიან პერიმეტრს ვერ აკონტროლებ, ძალიან ძნელია. საქართველო საკუთარ საზღვარს ვერ აკონტროლებს — სწორეს ეს არის რუსეთის მოტივაცია და მიზანი.

— რამდენად რეალურია საფრთხე, რომელზეც რუსეთი უწყვეტად საუბრობს? ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველო რუსეთს გაუზრდის საფრთხეს? თურქეთი ხომ ნატოს ერთ-ერთი უდიდესი წევრია და ის რუსეთის საზღვართან ძალიან ახლოს უკვე მდებარეობს?

— რუსეთი უკვე იღებს ზომებს იმისთვის, რომ თურქეთი საკუთარ ორბიტაში შეიყვანოს. ეს დიდი გეოპოლიტიკური თამაშია, რომლის დროსაც დასავლეთის დაწინაურება აღმოსავლეთის დამარცხებას ნიშნავს და პირიქით. რუსეთს ყოველთვის ეშინოდა იმის, რომ ნატო მის საზღვრებთან გამაგრდებოდა. აქ საკითხავი ის კი არ არის, იქნება თუ არა საქართველო რუსეთის საფრთხე, არამედ ის, იქნება თუ არა ნატო რუსეთის საფრთხე.

— ცენტრალური აზიის გარდა, რუსეთის გარშემო თითქმის ყველა ქვეყანაში კონფლიქტია, სადაც მოსკოვი რაღაც სახით არის ჩართული. ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატოს წევრობის გამო რუსეთისგან შედარებით დაცულები არიან. რა არის რუსეთის მოტივაცია იმისთვის, რომ წლების მანძილზე შეინარჩუნოს კონფლიქტები ამ საზღვრისპირა ქვეყნებში?

— უნდა გვახსოვდეს, რომ ამ კონფლიქტებს რუსეთი აკონტროლებს. მოსკოვს ნებისმიერ დროს შეუძლია მათი ინტენსივობის გაზრდაც და შემცირებაც. თქვენი აზრით, რატომ განახლდა ომი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 2008 წელს? ამას არაფერი აქვს საერთო აფხაზების ან ოსების მხრიდან დამოუკიდებლობის სურვილთან. საქართველოში ომი იმიტომ მოხდა, რომ დასავლეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა. კრემლმა ამიტომაც გადაწყვიტა, საქართველოს მაგალითით დასავლეთისთვის ჭკუა ესწავლებინა. გარდა ამისა, ნატოში გაწევრება მაშინ, როცა საკუთარი საზღვრის მთლიან პერიმეტრს ვერ აკონტროლებ, ძალიან ძნელია. საქართველო საკუთარ საზღვარს ვერ აკონტროლებს — სწორეს ეს არის რუსეთის მოტივაცია და მიზანი.

— ცოტა ხნის წინათ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ოპერაციის 25-ე წლისთავის აღსანიშნავად განცხადება გამოაქვეყნა და თქვა, რომ სამხრეთ ოსეთში ჩატარებული სამშვიდობო ოპერაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია და მას სხვა ქვეყნები სამშვიდობო ოპერაციების მოდელად იყენებენ. თქვენ როგორ აფასებთ ამ ოპერაციას?

— საერთაშორისო სამართლის თანახმად სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია. ამაზე ეჭვი არ არსებობს. საქართველოს გაეროში შესვლისას მთელმა მსოფლიომ, მათ შორის რუსეთმაც, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემადგენლობით. შესაბამისად, რუსეთის ეს ოპერაცია არ არის „სამშვიდობო.“ მე მას „უცხოურ ინტერვენციას“ დავარქმევდი, რომელიც თბილისს საკუთარი ტერიტორიის მართვაში ხელს უშლის.

— თქვენი აზრით, რა გაუადვილებს საქართველოს უკიდურესად რთული გარემოსთვის თავის გართმევას?

— მოთმინება. რუსეთი მანამდე არ შეწყვეტს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარდაჭერას, სანამ ეს მხარდაჭერა შეღავათის მოტანის ნაცვლად ძვირი არ დაუჯდება. დღეს შეღავათი ისაა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრება ურთულდება. აუცილებელია მოთმინება. ალბათ გახსოვთ, ბალტიისპირეთის ქვეყნები 45 წელი ელოდნენ დღეს, როცა ისინი კვლავ დასავლეთის ნაწილი გახდებოდნენ. სანამ დასავლეთი აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ ქვეყნებად არ აღიარებს, მათი უკან დაბრუნების იმედი არ უნდა გაქრეს და მოთმინება არ უნდა დაიკარგოს.

— მოთმინების მოწოდება საქართველოს მიმართ ხშირად ისმის. თუმცა, საზოგადოების ერთი ნაწილი ამბობს, რომ ნატოს წევრობა მხოლოდ დაპირებებია და ქვეყანას ალიანსში გაწევრების ნიშნად ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს. თქვენ მოთმინების გარდა რაიმე სხვა არჩევანს ხედავთ საქართველოსთვის?

— საქართველომ ჯერ ის უნდა გადაწყვიტოს, დაბალანსების პოლიტიკა აწარმოოს თუ მიტმასნების. თუ მთავრობას ბალანსის პოლიტიკა სურს, მაშინ ნატო საუკეთესო მოკავშირეა რუსეთის დასაბალანსებლად. რუსეთთან მიტმასნების შემთხვევაში კი, ქვეყანამ ის უნდა გაითავისოს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილი არასოდეს იქნება და საქართველოს მთავრობა მოსკოვის მარიონეტი უნდა იყოს. არ ვფიქრობ, რომ საქართველოს საზოგადოებას ეს უნდოდეს.

„Radio Voice of America“ (აშშ)

2017 წელს ხმელთაშუა ზღვაში 3 ათასზე მეტი მიგრანტი დაიღუპა

2017 წელს ხმელთაშუა ზღვის გავლით ევროპის ქვეყნებამდე მიღწევის მცდელობისას დაღუპულთა რიცხვმა 3000-ს გადააჭარბა. საგანგაშო სტატისტიკას მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია აქვეყნებს. ამავე მონაცემებით, ყოველდღიურად ზღვაში საშუალოდ 10 ადამიანი იღუპება. სულ მიმდინარე წელს ევროპაში ხმელთაშუა ზღვის გავლით 163 979 მიგრანტი ჩავიდა.

რუსეთი თავდაცვაზე 7 ტრილიონ რუბლს დახარჯავს

მომავალი 3 წლის განმავლობაში რუსეთი თავდაცვაზე 7 ტრილიონამდე რუბლს დახარჯავს. ამის შესახებ ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა ლეონიდ გორინმა განაცხადა. მისივე თქმით, თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის მიერ მიღებული ბიუჯეტის პროექტი 2018-2020 წლებში თავდაცვაზე ყოველწიურად 2 მილიარდ 300 მილიონი რუბლის დახარჯვას ითვალისწინებს. წელს რუსეთმა შეიარაღებაზე დაახლოებით 70 მილიარდი დოლარი დახარჯა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-ზე მეტია.

ჰონგ-კონგში ვარდისფერი ბრილიანტი გაიყიდა

კრისტის აუქციონზე მორიგი რეკორდი დამყარდა. ჰონგ-კონგში ვარდისფერი ბრილიანტი რეკორდულ ფასად გაიყიდა. უცნობმა კოლექციონერმა 15-კარატიანი ქვა 32 მილიონ დოლარად შეიძინა. აუქციონის ორგანიზატორებმა ბრილიანტს სახელიც შეურჩიეს. ის „ვარდისფერ დაპირებად“ არის ცნობილი.

კორუფციაში ბრალდებული პრინცი მილიარდი დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს

ერთ-ერთი პირველი, ვინც საპატიმრო დატოვა, მუთაიბ ალ საუდი იყო, რომელმაც გირაოს სახით მილიარდი დოლარი გადაიხადა. საუდის არაბეთის ეროვნული გვარდიის ყოფილი მინისტრი კორუფციის ბრალდებით იყო დაკავებული. ამავე ბრალდებით საუდის არაბეთში 5 ნოემბერს კიდევ 10 პრინცი და ათობით მაღალჩინოსანი დააკავეს.

გიორგი შავგულიძის ელვარე ნიჭიერება

1959 წლის აპრილის ერთ დღეს შემზარავი ამბავი გავრცელდა, მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული თეატრისა და კინოს კაშკაშა ვარსკვლავი, ყველასათვის საყვარელი მსახიობი გიორგი შავგულიძე (მე მაშინ ქუთაისის ერთ-ერთი ინსტიტუტის სტუდენტი გახლდით). მახსოვს, იმ დროს მთელი ქუთაისი ფეხზე დადგა. ქუჩაში გამოსული ადამიანები საერთო მწუხარებამ და გლოვამ მოიცვა. უმალ გონებაში ეკრანივით გაიარა მის მიერ გასაოცარი ნიჭიერებით შესრულებულმა გმირებმა, რამაც ჩემი ისედაც დამწუხრებული განწყობილება უფრო დაამძიმა. თვალწინ წარმომიდგა თბილისის კინოსტუდიაში ცოცხლად ნანახი ჟორა შავგულიძე თავისი გამორჩეული გარეგნობით, იმერელი თავადის პეწით და მიხვრა-მოხვრით, გვერდზე მოგდებული შლაპით და აზიაცკებით, რომელიც ძალაუნებურად მიიქცევდა ნებისმიერი ადამიანის ყურადღებას. მისი პიროვნება დღესაც მახსენებს თავს და დიდი სინანული მეუფლება იმის გამო, რომ ეს ყველასთვის სათაყვანებელი მსახიობი უდროოდ, 49 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან. ხშირია, როცა ცნობილი ადამიანები ტრაგიკულად ასრულებენ თავიანთ სიცოცხლეს, მაგრამ გიორგი შავგულიძის შემთხვევა, ალბათ, განსაკუთრებულია, ის ხომ დღისით-მზისით, შუაგულ ქალაქში, ტროლეიბუსის მსხვერპლი შეიქნა. ამბობენ, რომ ტროლეიბუსის მძღოლი, რომელმაც შეიტყო, ვინ იყო გარდაცვლილი, ხმამაღლა მოთქვამდა და თავსდატეხილი უბედურების გამო მომხდარს სასტიკად განიცდიდა. ამასთან დაკავშირებით მეტად ამაღელვებელია ერთი ისტორია: დიდი ხნის შემდეგ, უკვე სასჯელმოხდილმა და გაჭაღარავებულმა ტროლეიბუსის მძღოლმა, როგორ წაიყვანა თავის სახლში გიორგის ვაჟი ნუკრი, სადაც მისი ოთახის კედლები ჟორა შავგულიძის სურათებით იყო სავსე და მუხლზე დამხობილი მოხუცი ქვითინით როგორ ითხოვდა პატიებას. ასეთებიც ხდება...

გიორგი (ჟორა) შავგულიძე ქუთაისში დაიბადა 1910 წელს. მამა ვლადიმერ შავგულიძე ქალაქის ფოსტის უფროსი იყო, დედა მარიამ კიკაბიძე — დიასახლისი. ოჯახი ბალახვანში, ყაზარმების მახლობლად, მოკრძალებულად ცხოვრობდა. ორივე დედამიშვილი გიორგი და მისი და ყაუხჩიშვილების სკოლაში მიაბარეს. თუმცა ჟორჟიკას (ასე უძახდნენ სკოლაში გიორგის) გაკვეთილებზე გაჩერება რთული და შეუძლებელი შეიქნა. ცელქი ახალგაზრდა ხშირად იქვე ახლო მდებარე ჯარისკაცების ყაზარმას სტუმრობდა და დიდი ინტერესით აკვირდებოდა სამხედრო ვარჯიშებს.

როგორც ამბობენ ხოლმე — საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოჩნდაო, სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ჟორა შავგულიძის შემთხვევაშიც. იმ დროს დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ქუთაისის დრამატულ თეატრში მოღვაწეობდა. ქუჩაში მოსიარულე რეჟისორი სრულიად მოულოდნელად წააწყდა ასეთ შემთხვევას: ქალაქის ცნობილი თეთრი ხიდის მოაჯირზე შემდგარმა ტანწერწეტა ახალგაზრდამ ხელები გაშალა და უმალ გადაეშვა მდინარე რიონის ტალღებში. ეს გიორგი შავგულიძე გახლდათ. მაშინ იგი 18 წლის იყო. ამან ისე აღაფრთოვანა მარჯანიშვილი, რომ უცნობი ახალგაზრდა თეატრში დაიბარა. და აი, აქედან დაიწყო შავგულიძის გრძელი შემოქმედებითი სამსახიობო საქმიანობა, 1928 წელს ქუთაის-ბათუმის თეატრის დასში ჩაირიცხა. პირველ ხანებში ეპიზოდურ როლებში თამაშობდა, ასე, მაგალითად, „ბეატრიჩე ჩენჩში“ ოფიცრის უსიტყვო როლი შეასრულა, სადაც ერთგან პოლონეზს ცეკვავდა ბეატრიჩესთან, მეორეგან კი ეშაფოტზე მიაცილებდა.

კოტე მარჯანიშვილი ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენის უბადლო ოსტატი იყო. მისმა განსაკუთრებით გამორჩეულმა ალღომ, ქართულ თეატრს უამრავი ბრწყინვალე მსახიობი შესძინა. მათ შორის უდავოდ გიორგი შავგულიძეცაა. რეჟისორი მას დიდი იმედით და რწმენით უმზერდა. ყველას მიმართ მომთხოვნი მარჯანიშვილი, ჟორას მიმართ უფრო დამთმობი იყო, ინტუიციით გრძნობდა, რომ მისი სახით ქართულ თეატრს უნიჭიერესი მსახიობი ეყოლებოდა. ამიტომ ხშირად მიმართავდა: „შენ თვითონაც არ იცი, რამდენი რამ მოუმადლებია შენთვის მამაზეციერს. ნიჭს გაუფრთხილდი, ნიჭს!“ დიდ რეჟისორს უნდოდა დაემსხვრია ზოგიერთი სკეპტიკოსის მოსაზრება შავგულიძის სუსტი სამსახიობო მონაცემების შესახებ. მას სურდა ყველა განეცვიფრებინა ახალი ტალანტის მოულოდნელი აღმოჩენით.



ჟორას რაიმე თეატრალური განათლება არ მიუღია, თუმცა მარჯანიშვილის სკოლაზე უკეთესი სად უნდა გაევლო? მისი თეატრალური აღმასვლა ყველას აკვირვებდა, თუ საიდან ჰქონდა ამდენი დაუოკებელი და ამოუწურავი ფანტაზია, როგორ ან რა გზით ახერხებდა სცენური ფერების გამოძერწვას და მის იმპროვიზაციას. „მის საშემსრულებლო ხელოვნებას, გარდა სამსახიობო ექსპრომტულობისა, გამუდმებით თან სდევდა სამი მუზა — მუზა სიმღერის, ცეკვისა და პოეზიისა, რომელსაც ოსტატურად იყენებდა სცენაზე. მისი თითქმის ყველა როლი დასრულებული ნახატი იყო, ღრმა მეტყველური შტრიხებით და დიდოსტატური მხატვრული ფერებით“, — წერს ნოდარ გურაბანიძე.

მარტო ნიჭიერება არ განსაზღვრავს შემოქმედის წარმატებას. მას თან უნდა ახლდეს დაუღალავი შრომა და საკუთარ თავზე მიზანმიმართული მუშაობა. სწორედაც რომ მხოლოდ ასეთი მიდგომით მიიღწევა სანუკვარი შედეგი. შავგულიძემ ზედმიწევნით კარგად იცოდა ეს აქსიომა, რომელსაც დიდი მონდომებით იცავდა. მის მიერ შესრულებულ როლებში აშკარად მოჩანს არა მარტო მსახიობური ტალანტი, არამედ გამორჩეული ინტუიცია, როლის გახსნის და გადმოცემის იშვიათი უნარი, ის, რაც ასე ხიბლავდა და ატყვევებდა მაყურებელს. ამავე დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იგი თავისი თვისებებით, ემოციითა და ტემპერამენტით სუფთა ქართული მოვლენა გახლდათ. ყოველ ახალ როლს დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს ეპიზოდური იყო თუ მთავარი. სპექტაკლის დღეს ყველაზე ადრე მიდიოდა თეატრში. იწყებოდა როლის შესატყვისი კოსტიუმის თუ გრიმის მორგების ხანგრძლივი პროცესი. უბრალო „ტელეგრეიკასაც“ და ფრაკსაც ერთნაირად იხდენდა. თეატრის მკერავები შეკლული ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ მის გარეგნულ იერსახეს ერთმნიშვნელოვნად განსაკუთრებული შნო და ლაზათი ახლდა. სცენაზე ლაღი და თავისუფალი, ცხოვრებაში მორიდებული და უპრეტენზიო იყო. როლი არასოდეს მოუთხოვია, როგორც ამას სხვები აკეთებდნენ. მისთვის უცხო იყო ინტრიგა, დაპირისპირება, შური და მტრობა. ყოველთვის ცდილობდა, ნეიტრალური პოზიცია ჰქონოდა ამა თუ იმ საკითხის, ან ეპიზოდური იყო თუ მთავარი. სპექტაკლის დღეს ყველაზე ადრე მიდიოდა თეატრში. იწყებოდა როლის შესატყვისი კოსტიუმის თუ გრიმის მორგების ხანგრძლივი პროცესი. უბრალო „ტელეგრეიკასაც“ და ფრაკსაც ერთნაირად იხდენდა. თეატრის მკერავები შეკლული ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ მის გარეგნულ იერსახეს ერთმნიშვნელოვნად განსაკუთრებული შნო და ლაზათი ახლდა. სცენაზე ლაღი და თავისუფალი, ცხოვრებაში მორიდებული და უპრეტენზიო იყო. როლი არასოდეს მოუთხოვია, როგორც ამას სხვები აკეთებდნენ. მისთვის უცხო იყო ინტრიგა, დაპირისპირება, შური და მტრობა. ყოველთვის ცდილობდა, ნეიტრალური პოზიცია ჰქონოდა ამა თუ იმ საკითხის, ან ეტაპისაც, რომელმაც თავისი ცხოვრების მანძილზე უამრავი წინააღმდეგობა და შინაგანი ტკივილი განიცადა, რაც ასე მძაფრად აისახა მის პოეზიაში. იმდენად საინტერესო და შთამბეჭდავი იყო ფილმში წარმოჩენილი ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობა, რომ იგი რამდენიმეჯერ ვნახე (არა მარტო მე). კარგა ხანს (ალბათ, დღესაც) გონებიდან არ გამოდიოდა შავგულიძის მიერ განსახიერებული გმირი, ჩვენი სათაყვანებელი პოეტი დავით გურამიშვილი და მის მიერ წუხილით, სევდით და განცდებით წარმოთქმული სიტყვები:

„...ქართლის ჭირსა ვერვინ
მოსთვლის, თუ არ ბრძენი,
ენა — მჭევრი!
იფქლი ღვარძლად გადაიქცა,
ზედ მობრუნდა ცეცხლის
კევრი...
მეტად მწარედ გული მტკივა,
მაჟრჟოლებს და ტანში
მზარავს!
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო,
აღმა მხვნელსა, დაღმა
მბარავს!...“

გენიალური პოეტი თავისი სტრიქონებით შთამბეჭდავად გადმოსცემს სულის ტკივილს, ღრმად განიცდის ქართლ-კახეთის შინააშლილობას და საკუთარ უბედობას. გიორგი შავგულიძის დავით გურამიშვილის ეს კინოსახე მიმაჩნია მისი შემოქმედების გვირგვინად. ამ როლისთვის მან სახელმწიფო პრემია მიიღო.

შავგულიძის ბუნება, მოწოდება და ტალანტი ერთფეროვნებას ვერ ეგუება, ქმნის როგორც დრამატულ, ასევე კომიკური სახის როლებს. მისი ფანტაზია და იმპროვიზაცია უსაზღვრო და ამოუწურავია. გავიხსენოთ ვახტანგ ტაბლიაშვილის უკვდავი მუსიკალური ფილმი „ქეთო და კოტე“, სადაც ქართული თეატრის ლამის მთელი თანავარსკვლავედი მონაწილეობს. ამ ფილმს არც დღეს აკლია მაყურებელი და დარწმუნებული ვარ, არც მომავალში განელდება მისდამი ინტერესი. აქ ორმა დიდმა მსახიობმა ვასო გოძიაშვილმა და ჟორა შავგულიძემ დაუვიწყარი სიკო და ნიკოს სახეები შექმნეს. საკმაოდ დიდხანს მეგონა, იმათ დუეტს ოპერის მომღერლები ასრულებდნენ. ჩემდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ დუეტს გოძიაშვილი და შავგულიძე მღერიან. ასეთია მისი ისტორია: სიკოს და ნიკოს კუპლეტები სიმფონიური ორკეტრის თანხლებით ოპერის მომღერლებს უნდა ჩაეწერათ. რეჟისორს საოპერო მომღერლების მიერ შესრულებული დუეტი არ მოეწონა, მას მეტი დამაჯერებლობა, იუმორი და სიკისკასე სჭირდებოდა. საჩვენებლად ორკესტრის თანხლებით ვასო და ჟორა ჩაწერეს. ექსპერიმენტმა გაამართლა, მათი ცეკვა და სიმღერა ფილმის ერთ-ერთ ყველაზე ამაღელვებელ ეპიზოდად ითვლება. ამ ორმა მსახიობმა საქოსა და ნიკოს გამოკვეთილი როლების შესრულებით მაყურებლის განსაკუთრებული სიყვარული და აღიარება დაიმსახურა, ხოლო შავგულიძის „კინტოური“ ამ ფილმის გვირგვინად იქცა. ვასო გოძიაშვილი მას დაუღალავ და ნათელი ფანტაზიის მქონე დიდ არტისტს უწოდებდა: „სტანისლავსკიმ მსახიობის ხუთ გრძნობას მეექვსეც მიუმატა — ინტუიცია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გიორგიმ მსახიობობის პირველი დღეებიდანვე თავის ლამაზ შემოქმედებაში ფართო სარბიელი გაუხსნა ამ ეგრეთ წოდებულ ინტუიციას“, — აცხადებდა იგი. მომდევნო პერიოდში შავგულიძემ კიდევ ორ ფილმში: „ბედნიერი შეხვედრა“ და „გაზაფხული საკენში“ მიიღო მონაწილეობა და შექმნა მეტად შთამბეჭდავი სახეები.

ბუნებით ხალისიან და მხიარულ გიორგი შავგულიძეს და მის მეუღლეს, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობ ლიზა ვაჩნაძეს მთლად დალხენილი და იოლი ცხოვრება არ ჰქონდათ. მათი საცხოვრებელი პირობები კარგა ხანს გაუსაძლისი იყო. სამწუხაროდ, 6 წლის ასაკში ტყუპისცალიდან ერთი ვაჟიც გარდაეცვალათ. სამამულო ომის დროს ჟორა და ქალბატონი ლიზა რაიონებში სოფელ-სოფელ დადიოდნენ, კონცერტებს და პატარა სახუმარო წარმოდგენებს მართავდნენ საარსებო საშუალების მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, შავგულიძეს შემოქმედებითი ლტოლვა, ინტერესი და სურვილი არ განელებია, დიდი წარმატებით ქმნიდა დაუვიწყარ სახეებს თეატრსა თუ კინოში. 1955 წელს მას საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

1959 წელს ტრაგიკული და ბრმა შემთხვევის შედეგად ნაადრევად ამქვეყნიდან წასული უნიჭიერესი მსახიობი სრულიად საქართველომ დაიტირა. ამ მტკივნეულ რეალობას დაუვიწყარი სიტყვებით გამოეხმაურა პოეტი მიხეილ ქვლივიძე:

„რამდენი ჩვენგან წასული
კაცი, ვერ გადავიხდით
ვერასდროს ამაგს,
მაგრამ, ის ერთი სხვა იყო
მაინც, კაცი რომელიც
დააკლდა ქალაქს!“

გამორჩეული ნიჭიერების მქონე გიორგი შავგულიძის მიერ შექმნილი თეატრალური თუ კინოშედევრები დღესაც უდიდესი ინტერესით აგრძელებენ სიცოცხლეს...

გელა ქოქიაშვილი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

უმცროსები ემზადებიან

უმცროსი „ბორჯღალოსნები“ გაისად პოლონეთში გასამართი 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან და 28 ნოემბრიდან „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე პირველ შეკრებაზე შევიდნენ.

მანამდე მწვრთნელებს სასელექციო პროცესი ჰქონდათ. მასში ის მორაგბეები იყვნენ ჩართული, რომლებსაც განვლილ პერიოდში 18-წლამდელთა გუნდთან ერთად არ უვარჯიშიათ, ახლა კი ნაკრები სრული შემადგენლობით შეიკრიბა.

მთავარი მწვრთნელის დავით ჩავლეიშვილის განცხადებით, ამ 10-დღიანი შეკრების მიზანი ერთმანეთის კარგად გაცნობა და ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაა:

„შეკრების განმავლობაში ბიჭებს უკეთ გავიცნობთ, ვნახავთ, რისი გაკეთება შეგ-

ვიძლია, მათ ჩვენს მიზნებსა და გეგმებს დავუსახავთ. გარდა ამისა, ვიმუშავებთ ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად. შეკრებაზე 40 მოთამაშე გვყავს. მათი ნახევარი 18-წლამდელთა შეკრებაზე გასულ ციკლშიც გამოვცადეთ და ეს ადაპტაციას გაგვიიოლებს. გვყავს, ასე ვთქვათ, სარეზერვო ჯგუფიც, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ტრავმირებული მოთამაშის ჩასანაცვლებლად მზად იქნებიან. იმედია, ამის საჭიროება არ გვექნება“.

შეკრების დასასრულს, 7 დეკემბერს, თბილისში დასავლეთის გუნდი ჩამოვა, რომელიც 19-წლამდე ასაკის მოთამაშეებით იქნება გაძლიერებული და გაიმართება საკონტროლო თამაში, ევროპის ჩემპიონატამდე კი უმცროსი „ბორჯღალოსნები“ უცხოურ შეკრებას გეგმავენ, სადაც ორ-სამ საკონტროლო თამაშსაც ჩაატარებენ.

ევროპის ჩემპიონატს გაისად პოლონეთი 23 მარტიდან 1 აპრილამდე უმასპინძლებს და მასში მხოლოდ ევროპული გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. სამწუხაროდ, შარშანდლის შემდეგ 18-წლამდელთა ევროპის ღია ჩემპიონატზე თამაშზე უარი იაპონიის, კანადისა და აშშ-ს ნაკრებებმა თქვეს და ტურნირს ძლიერი ქვეყნებიდან კვლავ მხოლოდ საფრანგეთი შემორჩა.

ჩავლეიშვილი ფიქრობს, რომ ეს გუნდის მოტივაციაზე უარყოფითად არ აისახება:

„გულდასაწყვეტია, რომ იაპონია, კანადა და აშშ ტურნირიდან გავიდნენ, თუმცა, ეს ჩვენს მოტივაციაზე არ აისახება. ამ ბიჭებისთვის რუმინეთის, პორტუგალიის, ესპანეთის და რუსეთის წინააღმდეგ თამაში საინტერესოა, თუმცა, მათი პერსპექტივისთვის, რა თქმა უნდა, სჯობდა, რომ უფრო ძლიერი მეტოქეები გვყოლოდა. მიზანი წინა წლების მსგავსად ფინალში გასვლაა, სადაც, სავარაუდოდ, კვლავ საფრანგეთთან მოგვიწევს შეხვედრა და უნდა ვეცადოთ, რომ ამჯერად მათთან უფრო მეტს მივაღწიოთ“.

18-წლამდელთა გაფართოებული შემადგენლობა: ნიკა სომხიშვილი (არმია), გიორგი ქიმუცაძე (აია), დავით აბდუშელიშვილი (ლელო-სარასენსი), გიორგი ვარდოსანიძე (ხვამლი), საბა კურატიშვილი (არმაზი), ვანო პარკაძე (აია), ლუკა პეტრიაშვილი (ხვამლი), ლუკა ჭელიძე (ლელო-სარასენსი), ნიკა ფიროსმანიშვილი (თბილისი), ირაკლი პურიჭამიაშვილი (ხარები), ვლადიმერ ჩაჩანიძე (ლელო-სარასენსი), ლუკა მაჭარაშვილი (არმაზი), დავით გვიდიანი (აია), ლუკა მუჩიაშვილი (ვეფხვები), იოანე იაშაღაშვილი (იუნკრები), ვაჟა მაისურაძე (ლელო-სარასენსი), ლუკა კოხია (აია), ნიკა ღამბაშიძე (ლელო-სარასენსი), გიგა კობახიძე (ბაგრატი), გიგი ლეშკაშელი (ბაგრატი), საბა კურტანიძე (ხვამლი), მიხეილ ალანია (ჯიქი), გიორგი მარგალიტაძე (ლელო-სარასენსი), ფრიდონ წიკლაური (ხვამლი), დავით გობეჯიშვილი (აია), ნიკა ცინცაძე (ხვამლი), დაჩი პაპუნაშვილი (არმია), ლაშა ლომიძე (აია), დემე თაფლაძე (ლელო-სარასენსი), ირაკლი სიმსივე (აია), ბართლომე კალაძე (იუნკრები), სანდრო დვალი (ლოკომოტივი), ზუკა მინდიაშვილი (აკადემია), ოთარ ლაშხი (ჩოხოსნები), ზურა ქავთარაძე (ხარები), გოჩა ჩანადირი (არმაზი), გიორგი მიქანაძე (არმია), დავით გასვიანი (აია), თეიმურაზ ჭიჭინაძე (ჯიქი), დავით ცაგარეიშვილი (ლელო-სარასენსი).

მთავარი მწვრთნელი: დავით ჩავლეიშვილი

კობა კობახიძე

საფეხბურთო მოზაიკა

რუსეთის პრემიერლიგაში ლიდერობას ინარჩუნებს „ლოკომოტივი“. „რკინიგზელებმა მე-17 ტურში ხაბაროვსკის „სკა ენერგია“ სტუმრად ჯეფერსონ ფარფანის ბოლო წუთზე გატანილი გოლით 2:1 დაამარცხეს.

თამაშის შემდეგ აღნიშნული მატჩის შესახებ კომენტარი მოსკოველთა ქართველმა მცველმა სოლომონ კვირკველიამ გააკეთა:

„ხაბაროვსკში გამარჯვებისთვის ჩამოვედით და სასიხარულოა, რომ მიზანს მივაღწიეთ. სიცივე? – თამაშის დროს ამისთვის ყურადღება არც მიგვიქცევია. სამწუხაროდ, ვლად იგნატიევმა ტრავმა მიიღო. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

დარწმუნებული ვარ, „რუბინთან“ შეხვედრაში გულშემატკივრის დიდი მხარდაჭერა გვექნება“, – უთხრა სოლომონმა „ლოკომოტივის“ ვებ-გვერდს.

ზემოხსენებულ მატჩში კვირკველიამ 90 წუთი ითამაშა. მის დარად, ასევე შეუცვლელად გაისარჯა „სკა ენერგიას“ ქართველი მცველი გიორგი ნავალოვსკი.

ესპანური „სევილიას“ მთავარ მწვრთნელ ედუარდო ბერიცოს ოპერაცია გაუკეთდა, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. აღნიშნულ ინფორმაციას გუნდის ვებ-გვერდი ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ოპერაციას გაუთვალისწინებელი გართულებები არ მოჰყოლია. ბერიცოს წინ ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდი ელოდება.

შეგახსენებთ, რომ არგენტინელ სპეციალისტს სიმსივნე აღმოაჩნდა, რომლის შესახებაც ცნობილი ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულთან“ დაპირისპირების დროს გახდა.



მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა ესპანეთის თასის 1/16-ფინალში „ფუენლაბრადასთან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ კრიტიკის პასუხად აღნიშნა, რომ მთავარია მისმა გუნდმა მომდევნო ეტაპის საგზური მოიპოვა და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რას იტყვის.

„სამეფო კლუბმა“ ესპანეთის მესამე დივიზიონის წარმომადგენელს პირველი შეხვედრა სტუმრად 2:0 მოუგო, საკუთარ მოედანზე კი 2:2 ითამაშა.

„მოხარული ვარ, რომ შემდეგ ეტაპზე გადავედით. ჩვენმა ოპონენტებმა ძალიან კარგი მატჩი ჩაატარეს, თუმცა, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი ის არის, რომ ჩვენ მორიგი რაუნდი დავძლიეთ. ხალხს შეუძლია ის თქვას, რაც უნდა, მაგრამ ჩემი მოთამაშეები ბოლომდე იბრძოდნენ. ბევრ მათგანს მთავარ გუნდში ნათამაშებიც არ ჰქონდა და მე მათ შანსი მივეცი“ – განაცხადა ზიდანმა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ მატჩში მოედანს ორთვიანი უქმობის შემდგომ გარეთ ბეილი დაუბრუნდა.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი



ნბა-ში გამორჩეულნი

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასავლეთში „ნიუ ორლეანის“ ცენტრი ენტონი დევისი, ხოლო აღმოსავლეთში „მაიამი ჰითის“ ერთ-ერთი ლიდერი გორან დრაგიჩი დაასახელეს.

აღნიშნულ პერიოდში ფლორიდელებმა სამივე შეხვედრა მოიგეს, გორანი კი საშუალოდ ერთ თამაშში 23.7 ქულას და 4.3 პასს აგროვებდა.

რაც შეეხება „პელიკანსს“, სამი შეხვედრა მოიგო და ერთი წააგო, ხოლო დევისი საშუალოდ ერთ მატჩში 29.5 ქულას და 12.5 მოხსნას აკეთებდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

გლამურული მედიის საკბილო

ესპანელი გოლკიპერის დავიდ დე ხეას ცოლი, მოდელი ედურნე გარსია ევროპის ბულვარული მედიისათვის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი საკბილოა და ამ სასურველობის მიზეზს, რასაკვირველია, თავად სენიორა ედურნე იძლევა თავისი სილამაზითა და განსაკუთრებულობით.

შარშან დევიდის თანამეცხედრე ერთ-ერთმა გლამურულმა ჟურნალმა ფეხბურთელთა ტურფებს შორის ყველაზე ლამაზად დაასახელა და ჟურნალის გარეკანზეც მიუჩინა ადგილი, თანაც თვლა არა აქვს იმ დითირამბებსა და შაქარყინულიან სიტყვებს, რაც ამ ქალზე ითქმება.

ერთი ისაა, რომ დევიდ დე ხეა, მისი მრავალი კოლეგის მსგავსად, რჩეულთან ყოველგვარი ხელმოწერის გარეშე ცხოვრობს და მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერ ედურნეს მეუღლედ მოიხსენიებს, „კონკასთან“ ჩავლასაც კი ცოცხალი თავით არ აპირებს, რადგან ეშინია ცოლთან დაშორების შემთხვევაში ქონების გაყოფის და რა ქნას...

როსტომ რაჭველიშვილი

„რომანოვების სასახლის“ პროექტირება გაზაფხულიდან დაიწყება

ტურისტებისთვის კი არა, ეს უნიკალური გამაჯანსაღებელი კომპლექსი დაავადებული ქართველი ხალხისთვის უნდა გაკეთდეს!

„რომანოვების სასახლის“ პროექტირება გაზაფხულიდან დაიწყება – ამის შესახებ ობიექტის მმართველმა, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ „კომერსანტს განუცხადა. მისი თქმით, „რომანოვების სასახლის“ პროექტისთვის ტენდერის საფუძველზე სამი კომპანია გამოვლინდა. აქედან ერთი შენობის რესტავრაციას ჩაატარებს, მეორე – მუზეუმოგრაფიას, მესამე – პარკის ტერიტორიის.

„ამ ეტაპზე სამივე კომპანია დეტალურ ბიზნესგეგმას ამუშავებს. ფინანსურ დაანგარიშებას აკეთებენ. გაზაფხულზე პროექტის საბოლოო ვარიანტი გვექნება. აქვე გეტყვით იმას, რომ აღნიშნული პროექტის დამუშავება საკმაოდ რთული პროცედურაა. ყველა შტრიხი საარქივო მასალებთან მუშაობის შედეგადად უნდა დადგინდეს. გაზაფხულზე მათი პროექტები და ფინანსური ბიუჯეტის განხილვა მოხდება და შემდეგ უკვე დამტკიცდება. ასე რომ, გაზაფხულიდან პროექტირების პროცესიც დაიწყება“, – აცხადებს საგანელიძე.

როგორც ცნობილია, მთავრობის განკარგულებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ბორჯომლიკანის ყოფილი სამთავრობო რეზიდენცია, ე.წ. „რომანოვების სასახლე“ სამართავად საპარტნიორო ფონდს 2016 წლის გაზაფხულზე გადასცა.

დავით საგანელიძემ „კომერსანტს“ 2017 წლის მაისში განუცხადა, რომ საპარტნიორო ფონდმა კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სააგენტოსთან ერთად გამოაცხადა ტენდერი, სადაც მონაწილეობა 10-ზე მეტმა კომპანიამ მიიღო. შედეგად, შეირჩა 3 კომპანია (ICOMOS-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი -ICOMOS Georgia, შპს არქიტექტორები.ჯი2, ააიპ საქართველოს მემკვიდრეობა), რომლის გაერთიანების შედეგადაც ჩამოყალიბებული კონსორციუმი ობიექტის რესტავრაციას განახორციელებს.

მაშინ საგანელიძე აცხადებდა, რომ ობიექტის რესტავრაცია რამდენიმე ნაწილისგან შედგება, მათ შორისაა, შენობის და ბაღის რესტავრაცია. ამბობდა, რომ 20 სექტემბერს ყველა კომპანია წარადგენდა პროექტს თავისი ბიუჯეტით, შემდეგ ეს დამტკიცდება მთავრობაზე და უკვე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყებოდა.

როგორც ცნობილია, „რომანოვების სასახლის“ პროექტირებაზე დაახლოებით 600 000-800 000 ლარი დაიხარჯა. საგანელიძე ამავე პერიოდში „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ „რომანოვების სასახლე“ ტურისტებს 2019 წლის ბოლოდან მიიღებდა.

„ფონდი „რომანოვების სასახლის“ და ზოგადად, ლიკანის ტერიტორიის რესტავრირებას გეგმავს. აღსადგენია აუზები, შადრევნები, კიბეები, გალავანი. ძალიან ბევრი ქანდაკება დაკარგულია, ზოგიც სხვადასხვა მუზეუმშია გაბნეული. თვითონ შენობა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. შესაბამისად, ობიექტის აღდგენაში ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო რესტავრატორები უნდა ჩავრთოთ“, – აცხადებდა რამდენიმე თვის წინათ საგანელიძე.

„ყოფილი სამთავრობო რეზიდენციისა და 7 ჰა მიწის ფართობზე არსებული პარკის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით საპარტნიორო ფონდი დააფინანსებს. პროექტზე ამ დროისთვის დარგის სპეციალისტები მუშაობენ. „რომანოვების სასახლის“ რესტავრაციის შემდეგ დაცული იქნება ობიექტის ძეგლის სტატუსი და შენარჩუნდება მისი ავთენტურობა. სასახლეში მოეწყობა მუზეუმი, სადაც განთავსდება კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მქონე რესტავრირებული ნივთები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და კულტურული ფასეულობები. **„რომანოვების სასახლე საქართველოში უცხოელი ვიზიტორებისთვის მიმზიდველი ადგილი გახდება, რაც სასტუმრო კომპლექს „რიქსოს ბორჯომის“ საერთაშორისო მნიშვნელობას კიდევ უფრო გაზრდის. აღდგენილი „რომანოვების სასახლე“ რეგიონში უამრავ ტურისტს მოიზიდავს“.**

ცნობილია, რომ რეზიდენცია 2015 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შედიოდა, მაგრამ მოგვიანებით ის გასაყიდი ობიექტების სიიდან ამოიღეს. 2005 წლიდან რომანოვების სასახლეს საზაფხულო რეზიდენციად ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყენებდა.

ასევე ცნობილია, რომ საპარტნიორო ფონდი „ყაზმუნაი გაზთან“ იმავე ტერიტორიაზე ხუთვარსკვლავიან „რიქსოსის“ სასტუმროს ფლობს. საპარტნიორო ფონდს ობიექტი 25-წლიანი მართვის უფლებით გადაეცა.

თეონა კენჭიაშვილი

იარაღის სამალავი:

კიდევ ერთი დაკავებული ტერორისტი!

ძობულეთში 25 ნოემბერს სპეცოპერაციისას დაკავებული თურქეთის მოქალაქე ქალი, შესაძლოა, ტერორიზმთან კავშირში მყოფი პირი აღმოჩნდეს. აღნიშნული ვარაუდი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბათუმის საქალაქო სასამართლოში, საქმის მოსამართლემ სხდომაზე, სადაც აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე მსჯელობდნენ, რამდენჯერმე ახსენა სიტყვა ტერორიზმი.

მოსამართლის მიერ ბრალის დადგენილების წაკითხვისას გაირკვა, რომ დაკავებული ქალბატონის პირადი ჩხრეკისას ნაპოვნი იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა და ასევე აღმოჩენილია სამალავი და კასრი, სადაც ის ინახავდა ხელყუმბარებს. სასამართლო სხდომაზე პროკურორმა სხდომის დახურვა მოითხოვა და მან მიანიშნა სწორედ ამ ქალბატონის შესაძლო კავშირზე ტერორიზმთან.

„პირველ რადიოსთან“ საუბრისას შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, რომ დაკავებულს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით აქვს წაყენებული, რაც ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. აგრეთვე ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებას ჩადენილს არაერთგზის.

თურქეთის მოქალაქის დაკავებისთანავე გაჩნდა ეჭვი, რომ ის შესაძლოა, კავშირში ყოფილიყო იმ დანაშაულებრივ ჯგუფის წევრებთან, რომელთა ლიკვიდაციაც ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოხდა. თუმცა „პირველ რადიოს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში მაშინ არ დაუდასტურეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაკავებულს ბრალი ტერორიზმთან კავშირში ედებოდა.

დაკავებულს შესაძლოა, ბრალი გადაუკვალიფიცირდეს და ბრალად ტერორისტულ დაჯგუფებასთან კავშირი დაედოს.

პესტიციდების ზემოქმედება:

ზოგადობიდან – კიბომდე!

იმ ხილის და ბოსტნეულის მიღება, რომელშიც მაღალია პესტიციდების შემცველობა, ქალებში შესაძლოა, დაბალ შობადობას უკავშირდებოდეს, ნათქვამია სამეცნიერო ჟურნალ „ჯამაში“ 30 ოქტომბერს გამოქვეყნებულ კვლევაში, რომელშიც 325 ქალი მონაწილეობდა. ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმაც აჩვენა, რომ პესტიციდებით დაბინძურებულ გარემოსთან ადეკვატური კონცენტრაციით გაკეთებული პესტიციდების ინიექციის შემთხვევაში, ცოცხალი ნაყოფით მშობიარობის შანსები მცირდებოდა.

ჰარვარდის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის მეცნიერებმა ის ფაქტორები შეისწავლეს, რომელიც რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე მოქმედებს. მათვე აღმოაჩინეს, რომ სუპერმარკეტში გაყიდულ ზოგიერთ პროდუქტში პესტიციდების რაოდენობა განსაკუთრებით მაღალია, მაგალითად, მარწყვში, ისპანახში და წიწაკაში. შედარებით დაბალი იყო ლობიოში და ავოკადოში.

ბრიტანულ სუპერმარკეტში გაყიდულ პროდუქტებში ქიმიკატების რაოდენობა ბოლო 40 წელიწადში 17-ჯერ გაიზარდა. ეს მონაცემები 20 ნოემბერს გახდა ცნობილი მედიცინის სამეფო საზოგადოების კონფერენციაზე, სადაც მოხსენებით გამოვიდა ორგანიზაცია „ნიადაგის ასოციაცია“. ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში ორგანულად მოყვანილ პროდუქტებზე სერტიფიკატს გასცემს. პესტიციდებით განსაკუთრებით დაბინძურებულ სხვა პროდუქტებთან ერთად, დასახელებული იყო ხორბალი, ხახვი, ჭარხალი და კარტოფილი, რომელშიც 1960 წლიდან მოყოლებული, პესტიციდების რაოდენობა პროგრესულად იზრდება. ინფორმაციას კონფერენციის შესახებ ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ აქვეყნებს.

მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ტოქსიკური პესტიციდების რეგულარულად მიღება ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ცალკეული ქიმიკატი შესაძლოა, მცირე დოზით ტოქსიკური არ იყოს, მაგრამ სხვა ნივთიერებებთან კომბინაციაში, ე.წ. „ტოქსიკური კოქტეილები“ წარმოიქმნება, რომელიც უკავშირდება ისეთ დაავადებებს, როგორიცაა კიბო, ინსულტი და ინფარქტი.

ადრეულმა კვლევებმა აჩვენა, რომ პესტიციდების შემცველი საკვების მიღება ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს აუტიზმს. 2017 წლის დასაწყისში, გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოსთვის წარდგენილ ანგარიშში ნათქვამია, რომ პესტიციდებს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე კატასტროფული შედეგი აქვს. **„პესტიციდებთან ქრონიკული შეხება უკავშირდება კიბოს, ალცჰაიმერს, პარკინსონს, ჰორმონალურ დარღვევებს, გონებრივი განვითარების პრობლემებს და სტერილობას“** – ნათქვამია ანგარიშში.

შეერთებული შტატების ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტი პესტიციდებით ორგანიზმისთვის მიყენებული მრავალი ტიპის ზიანს შორის ასახელებს დაავადებათა ფართო სპექტრს, მათ შორის: კანცეროგენულს, ნევროლოგიურს, რეპროდუქტიულს, დერმატოლოგიურს, გასტროენტეროლოგიურს. მაღალი დოზით მიღება შესაძლოა ჰოსპიტალიზაციით და დაღუპვითაც დასრულდეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კლასიფიკაციით, პესტიციდები კანცეროგენული (შესაძლოა, გამოიწვიოს კიბო), ნეიროტოქსიკური (შეუძლია თავის ტვინის დაზიანება) და ტერატოგენურია (ორსულის ნაყოფის დაზიანება შეუძლია).

მკვლევარები ფიქრობენ, რომ პესტიციდები განსაკუთრებით ჭარბი რაოდენობით გროვდება მცენარეების კანში. ის მცენარეები, რომელსაც სქელი კანი აქვს (მაგალითად, ავოკადო, ნესვი, გოგრა), შესაძლოა, მეტად დაცული იყოს. მეცნიერები გვირჩევენ, შეძლებისდაგვარად ორგანულად მოყვანილი პროდუქტი შევიძინოთ და ასევე გვაფრთხილებენ, რომ წყლით კარგად გარეცხვა პესტიციდების პრობლემას არ ხსნის. მასაჩუსეტსის უნივერსიტეტში ჩატარებულმა ექსპერტიზამ, რომელიც ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდა, აჩვენა, რომ მხოლოდ სოდიან წყალში 15 წუთით დალბობის და გარეცხვის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ვაშლის კანში ზოგიერთი პესტიციდის რაოდენობამ დაიკლოს.

მაია ქვარცხავა

დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა. წ. 22 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია „მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ“ (მიმწოდებელი შპს „გოგოჭური და კომპანია“). განცხადებაში გამორჩენილია ფასის ცვლილების ამოქმედების თარიღი. ვაზუსტებთ – ცვლილება ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან.

შპს „გოგოჭური და კომპანიის“ დირექცია

პარალელები

ვ ა ლ ი

ფიქრი „საქართველოს რესპუბლიკაში“ ნუგზარ ფოფხაძის მიერ დასახელებულ ბერლინის კედლის ორ ფრაგმენტზე

თვალი შორიდან უკეთ ხედავს, ვინ ვის რას უზღავს
და ამიტომაც ვეკითხები ფოფხაძე ნუგზარს:
თავისუფლები გვქვია, მაგრამ ამოდ არ მოგვდგამს,
თავს გვანყევლინებს თეთრი დათვი და მისი მოდგმა,
რომლებსაც გულზე არასოდეს არ ვეხატებით;
მათ დაგვყვეს სამად და შეგვბორკეს მავთულხლართებით!..
ბერლინიდან რომ ამ დროს კედლის ფრაგმენტი მოდის,
თუკი არ არის ორგზის ძღვენი აყოლა მოდის,
საჩუქრის შემდგომ რა მოელის სანუკვარ ლოდინს,
ვალს მავთულხლართთა ნაკუწებით გადვიხდით როდის?
...გერმანელები კედლის მსხვრევით გახდნენ რანიცა,
იმ გზას გაივლის თავდახსნილი ამირანიცა?

ა ნ კ ე ს ი

აკუნტრუშება ოდითგან მოგვდევს,
ზოგს მხსნელს ვუწოდებთ, ზოგს – ზეკაცს, ზოგს – დევს,
თუ საზღვარგარეთ უვლია სადმე.
სიბრძნედ მივიჩნევთ მათ ბრიყვულ ბოდვებს,
და გვიან ვხვდებით, იმ კაუჭს მოგვდეს,
ჩვენს დასაჭერად რომ გამოსცადეს!

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისი-თბილისი

ბუკინისტი იყიდის:



მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს – 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს – 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

ცხვირაპრეხილი მომთაბარე ჭურფები

მე-13 საუკუნეში, როცა ჩინგისხანი იმპერიას ქმნიდა, მონღოლ ქალებს თვალშისაცემი მაკიაჟის გაკეთება უყვარდათ, ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევდნენ უცხოელები.

მონღოლი მანდილოსნები სახეს ყვითელი თეთრათი იღებავდნენ, რომელიც ჩინელ დიპლომატ სიუი ტინს მგლის ნასკორავი ეგონა. ფლამანდიელი მოგზაური ბერი ვილემ რუბრეკი კი წერდა, რომ წარბებს ისინი შავი საღებავით იხატავდნენ. „ყველა ქალი გასაკვირად ტანსრულია, – წერდა ფლამანდიელი მსტოვარი, – და ის, ვისაც სხვებზე პაჭუა ცხვირი აქვს, უფრო ლამაზად ითვლება“. იგი ყვებოდა, რომ ერთ-ერთი მონღოლი მხედართმთავრის ცოლს, როგორც ჩანს, იდეალთან მიახლოების მიზნით, ცხვირის წვერი წაჭრილი ჰქონდა.

ორივე სქესის მონღოლები მეტად რთულ თმის ვარცხნილობას ატარებდნენ: მამაკაცები თმას შუბლიდან თხემამდე იპარსავდნენ, სადაც დატოვებული თმა მერე წარბებზე ჰქონდათ ჩამოშლილი, გვერდებზე კი გრძელ კულულებს იწნავდნენ და ყურებზე იმაგრებდნენ.

გათხოვილი ქალები ასევე იპარსავდნენ თმას, შუბლიდან თხემამდე, დარჩენილს კი ხის ნაჭრისგან ან მერქნისგან დამზადებულ მაღალ თავსაბურავში მალავდნენ. ტრამალის მშრალი ქარისაგან კანის დასაცავად მონღოლი ლამაზმანი მამაკაცებიცა და ქალებიც, მძაფრსუნიან ცხვრის ქონს ისვამდნენ.

თვალწარმტაცი სიელმე

მეზოამერიკული ცივილიზაციის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენლებს მაიას მიაჩნდათ, რომ სიელმეზე მომხიბლავი ადამიანში არაფერი შეიძლება იყოს.

მე-14 საუკუნეში ესპანელი მისიონერი დიეგო დე ლანდა წერდა, რომ აბორიგენები ხელოვნურად აელმებდნენ ორივე სქესის ბავშვებს – ისინი თმაზე ძაფზე დაკიდებულ ფისის ბურთულაკს ისე უმაგრებდნენ, რომ ცხვირის ფუძესთან ყოფილიყო. ამის გარდა, დედები ბავშვებს თავის ქალებს უგრძელებდნენ, მაგრად შეკრული ფიცრების მეშვეობით (თუმცა ეს წესი ადამიანით დასახლებულ ყველა კონტინენტზეა ცნობილი). მოდური იყო ასევე წაწვეტებული კბილები, მათ კიდევ პატიოსანი თვლებით ინკრუსტირებდნენ. პეწენიკი ხალხი ყურებს, ნესტოებსა და ქვედა ტუჩს იხვრეტდა და მძიმე სამშვენისებს იდგამდა. მათი აზრით, ასევე სილამაზეს ჰმატებდათ უამრავი სვირინგი და საგანგებო იარა. სინატიფის უკიდურესი გამოვლენა კი, ლანდას მოწმობით, იყო სხეულისა და სახის წითლად შეღებვა. კონკისტადორ ერნან კორტესის ცნობით, საღებავი ასევე სიცივისგან, სიცხისგან და კოღოებისგანაც იცავდა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ჭეშმარიტი მიზანი

ერთ ქალაქში მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული პიანისტი ჩავიდა.

იმპრესარიომ სასტუმროში როიალიანი და ხმაურგაუმტარკედლებიანი ნომერი შეუკვეთა.

– თქვენ გინდათ, რომ თქვენმა გასტროლიორმა სრულ სიმშვიდეში იცხოვროს, არა? – გაგებით შენიშნა სასტუმროს ადმინისტრატორმა.

– არა, ჩემი მიზანია გასტროლიორის მუსიკა უფასოდ არავინ მოისმინოს.

მარადიული ჭეშმარიტება

ანჯეი უზომოდ შეყვარებულია და მიჯნურის საჩუქრებისთვის ფულს დაუნანებლად ხარჯავს. ერთხელაც, ქალიშვილმა ანჯეისგან ძვირფასი საჩუქარი რომ მიიღო, ეკითხება:

– როდის მორჩები ფულის ასე უყაირათოდ ხარჯვას?

– როგორც კი ჩემი ცოლი გახდები.

ქალური ეშმაკობა

გადაჭედილ ტრამვაიში ორი ახალგაზრდა ქალი ადის და ადგილის დასათმობად ადგილიდან არავინ იძვრის. მაშინ ახალგაზრდა ქალთაგან ერთ-ერთი მეგობარ ქალს ეუბნება:

– როგორ მინდა, რომ ადგილი იმ ლამაზმა მამაკაცმა დამითმოს.

ერთბაშად ხუთი მგზავრი წამოდგება.

კიბე

საგიჟეთიდან ორი სულით ავადმყოფი გაიქცა, რკინიგზის ლიანდაგზე გავიდნენ და შპალებზე მიაბიჯებენ.

– ძალიან მოუხერხებელი კიბეა, ატყობ? – ამბობს ერთი.

– ვატყობ რომელია! – ეთანხმება მეორე. – მაგრამ უარესი ის არის, რომ მოაჯირი ძალიან დაბლა დაუყენებიათ.



გულმავიწყობა

„საყვარელო, – წერს ყმაწვილკაცი თავის თვალდადგმულ გოგოს, – გუშინ ისე აღელვებული და დაბნეული ვიყავი, რომ ვეღარ გამიხსენებია, რა მიპასუხე ჩემს წინადადებაზე.

გოგო უპასუხებს:

„საყვარელო, რა კარგია, რომ მომწერე, თორემ ვეღარ ვიხსენებდი, ვის ვუთხარი გუშინ უარი“.

კარგი მაგალითი

ჰიგიენის გაკვეთილია. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ როგორი მავნეა ცხოველების კოცნა.

– რომელს შეგიძლიათ მაგალითის მოყვანა? – კითხულობს მასწავლებელი.

ადგილიდან პატარა ბიჭი დგება:

– აბა, იან, თქვი რა იცი?

– დეიდაჩემ ალისიას ჩვეულებად ჰქონდა თავისი ძაღლის დრუნჩში კოცნა.

– მერე, რა მოხდა?

– ძაღლი მოკვდა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7228; ევრო - 3.2339;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6183;
100 რუბლი - 4.6672; თურქული ლირა - 0.6921;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6030;
1000 სომხური დრამი - 5.6152.

ამინდი 30 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+9
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge